# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 192 (212) | ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი, 1991 წელი | ფასი 10 კაპიკი


საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### თ. მ. ვაშაძის ქ. თბილისის მერის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ მიხეილის ძე ვაშაძე ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 2 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ჯ. ქ. დავლიანიძის კასპის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ჯემალ კონსტანტინეს ძე დავლიანიძე კასპის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 2 ოქტომბერი.

### თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა ერთი ჯგუფის განცხადება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები მოუწოდებენ უკანონოდ შეიარაღებულ ოპოზიციას, დაუყოვნებლივ ჩააბაროს იარაღი ხელისუფლებას.

ბ. მრევლიშვილი, ბ. ბერულავა, ნ. დოჭვირი, ბ. ბარდაველიძე, რ. მაჭარაძე, ნ. კვარაცხელია, რ. ხაზალია, დ. ფეტვიშვილი, ქ. ლალანიძე, ქ. ხომასურიძე, მ. მუსერიძე, ბ. კეკელიძე, ც. მიქელაძე, ზ. ზაზაშვილი, ე. ჟაჟუა, ჯ. ჯეჯელავა, ე. გიგინეიშვილი, ც. ვარდოსანიძე, ლ. ვაშაკიძე, თ. გვარჯალაძე, გ. აკობია, თ. ფირცხალანი.

### თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა ერთი ჯგუფის განცხადება

ა. წ. 2 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ ამ მიმართვის როგორც ფორმის, ასევე შინაარსის გამო. გარდა ამისა, სავსებით მიუღებლად მიგვაჩნია დეპუტატთა ჯგუფის გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით.

ვინაიდან მათი უნივერსიტეტში ყოფნით იქმნება დესტაბილიზაციის ახალი კერა, მოვითხოვთ, დეპუტატთა ოპოზიციურმა ჯგუფმა დატოვოს უნივერსიტეტის შენობა, რის შესახებ წინა დღეებში არაერთხელ იყვნენ გაფრთხილებულნი და შეწყვიტონ მოსახლეობისადმი მიმართვები უნივერსიტეტის სახელის გამოყენებით.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხელმომწერთა შორის არის ბანი ვაჟა ადამია — პიროვნება, რომელიც თავისი შეიარაღებული ჯგუფით უკიდურესად არის დაპირისპირებული ხელისუფლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობისადმი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დეპუტატთა ზემოთ აღნიშნული პროვოკაციული განცხადება, ისევე, როგორც მათი ბოლოდროინდელი მოქმედება იწვევს საზოგადოების შემდგომ პოლარიზაციას.

ბ. მრევლიშვილი, ზ. მეტრეველი, ბ. ბერულავა, ნ. დოჭვირი, ქ. ლალანიძე, რ. მაჭარაძე, ბ. ბარდაველიძე, რ. ხაზალია, ნ. კვარაცხელია, ქ. ხომასურიძე, დ. ფეტვიშვილი, რ. ცანავა, მ. მუსერიძე, ე. ჟაჟუა, ლ. ვაშაკიძე, ც. ვარდოსანიძე, ც. მიქელაძე, ბ. კეკელიძე, ჯ. ჯეჯელავა, ე. გიგინეიშვილი, თ. გვარჯალაძე, თ. ფირცხალანი, გ. აკობია.

## ხალხი ბრძენია

**მთელი** აფხაზეთი შეაშფოთა თბილისში მიმდინარე მოვლენებმა. დაივიწყეს რა თვიანთი პრობლემები და სატკივარი, ეკონომიკის სიძნელეები და, ბოლოს, თავიანთი გამწვავებული ეროვნებათშორისი ურთიერთობა, აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები, მთელი შრომითი კოლექტივები გამოხატავენ თავიანთ აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას, მოითხოვენ კონფლიქტში ჩაბმული მხარეებისაგან გამონახონ საერთო ენა სადავო საკითხების გადაწყვეტაში, მკაცრად დაიცვან კონსტიტუციური ნორმები და გონივრული დიალოგის გზით მიაღწიონ შერიგებას.

ავტონომიურ რესპუბლიკაში არავის არ გასდგომია განზე ეროვნული ერთიანობის იმ პრობლემას, რომელიც მთელ საქართველოს აწუხებს, არავინ არ არის აქ გარეშე მეთვალყურის როლში.

ამ დღეებში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, პრეზიდენტის, მთავრობის, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარტიისა და საქართველოს ყველა მოქალაქისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„აფხაზეთის მრავალეროვანი ხალხი და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გამოთქვამენ სერიოზულ შეშფოთებას და შეშფოთებას ქალაქ თბილისში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო. მოვლენათა განვითარება აჩვენებს, რომ კონფლიქტში ებმება სულ უფრო მეტი ადამიანი, განსაკუთრებით კი — ახალგაზრდობა. შექმნილ სიტუაციას ამწვავებენ შეიარაღებული შეტაკებანი, რომლებსაც უაზრო მსხვერპლი მოაქვთ.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ყოველივე ამას მივყავართ ძმათამკვლელი ომისაკენ. ყოველ ოჯახში დაისადგურა შეშფოთებამ ბავშვების, ახლობლების, რესპუბლიკის ბედის გამო.

ეს მოვლენები უარყოფით გავლენას ახდენენ საქართველოს ავტორიტეტზე მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

კონფლიქტის გაღვივებას მოაქვს აუნაზღაურებელი ზარალი სახალხო მეურნეობისათვის და იწვევს ეკონომიკის გაჩანაგებას, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ისედაც საკმაოდ დაბალი კეთილდღეობის კიდევ უფრო დაქვეითებას.

მოგიწოდებთ გამოიჩინოთ პოლიტიკური სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, განზე გადადოთ ურთიერთქიშპი და უნდობლობა, მიუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და ცივილიზებული გზით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში გადაჭრათ ყველა წამოჭრილი პრობლემა, რადგან სხვა გზა არ არსებობს.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვენი მიმართვა ჰპოვებს ყოველმხრივ მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პრობლემათა მშვიდობიან გადაჭრას".

**თენგიზ ჯიბუტი,**
საქინფორმის კორ.

### განცხადება

**1991 წლის** 3 ოქტომბერს 17 საათზე მთავრობის სახლთან გაიმართება საინფორმაციო მიტინგი დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე. მიტინგზე სიტყვით გამოვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია.

●

**დღეს** უზენაესი საბჭოს შენობაში ჩატარდება „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

**შემთხვევა**

# ვაგონების აფეთქება



**როგორც** ბოლო მონაცემებით გახდა ცნობილი, 2 ოქტომბერს, დაახლოებით 10 საათზე რკინიგზის სადგურ დიდუბის გადასარბენზე გაჩერებულ საბჭოთა სამხედრო სატვირთო მატარებლის ერთ-ერთ ვაგონზე გამცილებელმა და რკინიგზის მუშებმა შენიშნეს ხანძარი. ისინი შეეცადნენ შემადგენლობიდან ამ ვაგონის ჩახსნას, მაგრამ მოხდა აფეთქება.

დიდ მანძილზე გაიტყორცნა აფეთქებული რაკეტების და ვაგონების ნაწილები, ხანძარი გაუჩნდა შემთხვევის ადგილის მახლობლად მდებარე ავტოვაგზლის ტერიტორიასთან განლაგებულ სავაჭრო ჯიხურებს და სხვა ნაგებობებს. ჩაიმსხვრა ფანჯრები ყველა მიმდებარე შენობაში, დაწყდა ტრამვაის ელექტროგადამცემი მავთულები. არიან დაშავებულები. შემთხვევის ადგილზე მუშაობს ოპერატიული ჯგუფი. მიმდინარეობს აფეთქების მიზეზების დადგენა. როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, აფეთქებული რაკეტები არ არის ბაქტერიოლოგიური და ქიმიური. აფეთქების შემდეგ შემთხვევის რაიონში რადიაციის დონე არ აწეულა.

მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით დროებით შეჩერებულია მეტროპოლიტენის მუშაობა დიდუბე-სადგურის მონაკვეთზე.

მოქალაქეები ნუ აჰყვებიან ჭორებსა და ლელვას. უახლოეს დროში მოგაწვდით უფრო დაზუსტებულ ინფორმაციას. მოსახლეობას ვთხოვთ, ხელს ნუ ახლებენ საგნებს, რომლებიც აფეთქების შედეგად გაიფანტა სხვადასხვა ადგილას, შეატყობინებისთანავე — ადგილზე მივა ოპერატიული ჯგუფი. ამ საკითხთან დაკავშირებით გთხოვთ დაგვირეკოთ ტელეფონზე — 90-70-87.

**ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტის პრესცენტრი.**
საქინფორმი.

●

**2 ოქტომბერს** დილით დიდუბის სადგურის მახლობლად მცხოვრები თბილისელები და იქ მყოფი ქალაქელები ხედავდნენ, როგორ ფეთქდებოდა „პაერი-პაერი" ტიპის რაკეტები. ამ კოშმარს მოჰყვა მსხვერპლი, ჭრილობები, შეაძრწუნა ყოველი ჩვენგანი, გამოიწვია უამრავი სტრესი და... კითხვა: როგორ, რატომ, საიდან?

— სპეციალური დანიშნულების ამ შემადგენლობაში, — თქვა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა რემი ვაშაკიძემ, — იყო რაკეტების კონტეინერებით დატვირთული თერთმეტი ნახევარვაგონი. მათ ახლდა კიდევ ერთი დახურული ვაგონი და ოთხი სამხედრო, რომლებიც ტვირთის გადატანას ხელმძღვანელობდნენ. სადგურის მორიგესთან მივიდა სამხედრო მოსამსახურე და განუცხადა, ერთ-ერთი ვაგონი იწვის და სასწრაფოდ უნდა მოეხსნას, თორემ აქ შეიძლება უბედურება დატრიალდესო და... მალე დაიწყო ძლიერი აფეთქება.

როგორც შემადგენლობის თანმხლებმა სამხედრო მოსამსახურეებმა თქვეს, ეს საიდუმლო ტვირთი მიდიოდა მარნეულში. პირველ ვაგონში ცეცხლის გაჩენის შესახებ ცნობის შემდეგ, მათი წარმომადგენელი გაიქცა სადგურში მორიგესთან, რათა გადაეყენებინათ უკვე ალმოდებული ვაგონი ძირითადი ეშელონისაგან, თუნდაც ორმოცდაათ მეტრზე. მაგრამ ვერ ნახა იგი... მალე კი კვლავ გაისმა აფეთქება. თანმხლები ჯგუფი ირწმუნებოდა, რომ ამ საშიში ტვირთის ტრანსპორტირების წინ მიღებული იყო უსაფრთხოების ყოველგვარი საჭირო ღონისძიებანი, კერძოდ, ჰერმეტულად იყო შეფუთული რაკეტები ყუთებში. ყუთების დაწვის მიზეზი მათ არ იციან — ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ნაპერწკლის, საკონტაქტო მავთულის, ალმოდებული საგნის მოხვედრის შედეგად.

— დაახლოებით დილის 6 საათზე, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რევაზ ნაფეტვარიძემ, — დიდუბის სადგურთან მოვიდა სპეციალური დანიშნულების ეშელონი და იდგა იქ, ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, სამი საათის განმავლობაში. ასე, 9 საათსა და 15 წუთზე შენიშნეს ხანძარი ერთ-ერთ ვაგონში, რასაც შემდეგ მოჰყვა აფეთქებათა სერია. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ოპერატიულად მოქმედებდნენ ამ სიტუაციაში მეხანძრეები, მაშველნი, და მდგომარეობა თანდათანობით სტაბილური გახდა. მინდა დავარწმუნო მოსახლეობა, რომ აფეთქებებს არ გამოუწვევია რადიოაქტიური ან ქიმიური დაზიანება. ეს დაადასტურა გაზომვებმაც და სპეციალური მოწყობილობებით, ვერტმფრენავებით განხორციელებულმა გამოკვლევებმაც.

საქინფორმი.

●

**ჩვენს** კორესპონდენტს ესაუბრა აღნიშნული აფეთქების თვითმხილველი, ჟურნალისტი **რაულ ბაბუნაშვილი:**

ჩვენი რედაქცია მდებარეობს გაერთიანება „სამთო ქიმიის" შენობაში, მეორე სართულზე. აქედან კარგად ჩანს როგორც ავტოსადგური, ასევე მეტროპოლიტენ დიდუბის სადგური. დაახლოებით ათის ნახევარზე, როგორც ყოველთვის, სამსახურში ვიყავი. პირველი რაც გავიგონე, ეს იყო ხმაური, რომელიც წააგავდა თვითმცლელიდან ხრეშის დაცლას. როცა ფანჯარაში გავიხედე, დავინახე იწვოდა გაჩერებული ვაგონი. მაშინვე ვცადე სახანძროში დამერეკა. 5-6 წუთში დავუკავშირდი სახანძრო რაზმს, მათ მიპასუხეს რომ უკვე იცოდნენ ამ ხანძრის შესახებ. ამის მერე ვაკვირდებოდი ხანძრის მსვლელობას. ხალხი შეკრებილიყო და უყურებდა ხანძარს. ზოგი გარბოდა საშიში ადგილიდან, უმეტესობას კი შიში არ ეტყობოდა, მშვიდად ადევნებდნენ თვალყურს. რასაკვირველია არც ჩვენი თანამშრომლები (გაერთიანება „სამთო ქიმიაში" დაახლოებით 300 კაცი მუშაობს) მოელოდნენ რაიმე სერიოზულს.

ხანძრის შემჩნევიდან დაახლოებით 7-8 წუთში გაისმა პირველი აფეთქების ხმა. ამ აფეთქებამ დააფრთხო ხალხი. რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყო აფეთქებების სერია. მაგრამ ამ აფეთქებებს არ გამოუწვევია შენობების მინების მსხვრევა. დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ დაიწყო მძლავრი აფეთქებები. მეტროს მხრიდან მტკვრის სანაპიროსკენ მოდიოდა რკინის ნამსხვრევები. სწორედ ამ დროს „სამთო ქიმიისა" და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შენობებს შუა გაიარა და მტკვრის სანაპიროსთან ჩამოვარდა ერთ-ერთი რაკეტა. ყოველ შემთხვევისათვის მისი ნომერიც ამოვიწერე: ET 0050609150. საბედნიეროდ ეს რაკეტა არავის დასცემია. თუმცა ჩვენს წინ, ტრამვაის გაჩერებასთან დაილუპა ერთი ადამიანი, რომელსაც გავარვარებული რკინის ნაჭერი მოხვდა.

მე ვესაუბრე ერთ-ერთ სამხედროს, პოლკოვნიკს, რომელიც ხელმძღვანელობდა შემთხვევის ადგილზე მოსულ სამხედრო წარმომადგენლობას. როგორც მან თქვა, მოჰქონდათ „პაერი-პაერის" ტიპის რაკეტები 12 ვაგონით. წინაც და უკანაც ჩაბმული ჰქონდა 3-3 ვაგონი, რომელსაც დაცვის ვაგონებს ეძახიან. საერთოდ, ჩემს კითხვაზე, თუ ყავდა ამ ეშელონს დაცვა, მიპასუხა, რომ დაცვა ჰყავდა, მაგრამ ახლა ისინი იზოლირებულნი არიან და რომ ჯერ მათთან კავშირი არა აქვთ.

ვესაუბრე აგრეთვე ერთ-ერთი ჯიხურის გამყიდველებს, რომლებმაც დაწვრილებით აღწერეს მომხდარი ამბავი. ხანძარი რომ დაინახეს, შეატყობინეს მემანქანეს. მემანქანის თანაშემწე მოვიდა და ჩახსნა ცეცხლმოკიდებული ვაგონი. თუმცა მატარებელი 5 მეტრზეც ვერ გაიყვანეს, რომ მოხდა პირველი აფეთქება. აფეთქების შემდეგ ხალხი მოიცვა პანიკამ. ავტოსადგურში თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი ადამიანები გარბოდნენ დიდუბისა და დიღმის მიმართულებით. აღსანიშნავია ის, რომ თუ ზოგიერთები პანიკაში ჩავარდნილ ხალხს მანქანებში ისვამდნენ, გაჰყავდათ ბავშვები და ქალები სახიფათო ზონიდან, ზოგი, თხოვნა-მუდარის მიუხედავად, მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობდა...

●

**ალექსანდრე თორდია, თბილისის № 5 სასწრაფო დახმარების სადგურის მორიგე ექიმ-თერაპევტი:**

— დაინგრა ჩვენი სადგურის ერთ-ერთი კედელი, ჩაიმსხვრა მინები. ჩვენი ბრიგადები მუშაობენ აფეთქებათა დაწყების მომენტიდან. უკვე გავუწიეთ პირველი დახმარება სულ ცოტა 30 დაზარალებულს.

**თომაევი (სახელი არ გვითხრა) თბილისის მეტროპოლიტენის მატარებლის მემანქანე:**

— დაახლოებით ცხრა საათზე მოვედი სამუშაოზე. 10 წუთის შემდეგ დაიწყო აფეთქებები. პირველი აფეთქების შემდეგ მეტრო „დიდუბის" სადგურში გამოჩნდა მგზავრებით სავსე შემადგენლობა. სასწრაფოდ გახიზნეს ადამიანები, ვაგონები კი გვირაბში გაუშვეს. სადგურის სახურავს ნამსხვრევები დაეცა, ჩაიმსხვრა სადგურის ყველა მინა.



**სერგო აბოვიანი, ნაძალადევის რაიონის სახანძრო სამსახურის უფროსის მოადგილე:**

— ჩვენ ვიყავით პირველნი მეხანძრეთა შორის, ვინც შემთხვევის ადგილას მოვიდა 9 საათსა და 16 წუთზე. მეტრო „დიდუბის" სადგურის შესასვლელთან იწვა კაცი, იგი დაღუპული იყო: აფეთქების ტალღამ ჩვენი მანქანა რამდენიმე სანტიმეტრით აიტაცა მაღლა.

**ავთანდილ ჩიჩუა:**

— მეტრო „დიდუბის" სადგურთან ჯიხურში გაზეთებს ვყიდულობდი, დავინახე რკინიგზელები, რომლებიც სატვირთო შემადგენლობას ხსნიდნენ პირველ ვაგონს. ამ დროს მათთან მიირბინა ოთხმა ჯარისკაცმა. ისინი ყვიროდნენ, ვაგონი აფეთქდება და ყველანი უნდა გავიქცეთო. თავად დილმისაკენ გაიქცნენ. შემდეგ კი დაიწყო აფეთქებები.

**ალექსანდრე ქრმოლოვი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცერი:**

— მე აქ იმიტომ ვარ, რომ ვიცნობ „პაერი-პაერი"-ს ტიპის რაკეტებს. ბუნებრივია, ტვირთი ჩვენია — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსი. ჩემი აზრით, აფეთქების მიზეზი ხანძარია. მაგრამ თვითაალება ამ შემთხვევაში გამორიცხულია. სად იგზავნებოდა ეს რაკეტები, არ ვიცი. ვაგონებს იცავდნენ საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ამგვარი შემადგენლობა ან უნდა გაჩერდეს ქალაქში შესვლამდე, ან გაუჩერებლად მაინც გაიაროს ქალაქი. ამ შემთხვევაში იგი ქალაქში იდგა. სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც მატარებელს აცილებდნენ, ამჟამად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო კომენდატურაში არიან. ამ ადგილას მატარებელი თქვენმა რკინიგზამ გააჩერა.

**ალექსანდრე სერგეევი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის მაიორი:**

— ყოველი მატარებლის გამო ვიღებთ ბრძანებას და სადგურის დისპეტჩერმა იცის, რომ შემადგენლობა მიდის თანრიგის ტვირთით და მას არა აქვს ქალაქში მისი გაჩერების უფლება. ზარალს დამნაშავე აანაზღაურებს, როდესაც გამოძიება მას განსაზღვრავს. შემთხვევა ორდინარული არ არის, მით უმეტეს, საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში.

**ოლეგ ბიჭიაშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე:**

— ამ შემადგენლობის ტვირთის სახეობა ჩემთვის უცნობი იყო. გავერკვევით, ჯერჯერობით კი კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
საქინფორმი.

●

**...9 საათსა** და 30 წუთზე ქალაქის მე-4 კლინიკური საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში მოვიდნენ პირველი დაშავებულნი სხვადასხვა ხარისხის სიმძიმის დაზიანებით, ბევრი სტრესის მდგომარეობაში. დღის ორ საათამდე ისინი მოჰყავდათ „სასწრაფო დახმარების" მანქანებით და თბილისელთა პირადი ავტომობილებით.

— სულ პირველ საათებში ჩვენთან 15 კაცი მოიყვანეს, — ამბობს საავადმყოფოს მთავარი ექიმი **შოთა პეტრიაშვილი,** — რვა კაცს მხოლოდ ამბულატორიული დახმარება აღმოვუჩინეთ, რის შემდეგაც შინ გავისტუმრეთ. დანარჩენები სტაციონარში დავაწვინეთ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშიში არ არის. სხვებზე მეტად დაზარალდა მანანა თომაძე, რომელსაც თავის ქალისა და ტვინის მძიმე ტრავმა აქვს მიღებული. სამწუხაროდ, იგი შოკის მდგომარეობაშია და მხოლოდ სახელისა და გვარის დასახელება შეძლო. შესახედაობით პაციენტი 25-30 წლისა უნდა იყოს.

აი, რა უამბეს საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქის ზოგიერთი სხვა სამკურნალო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

**ანდრო სალაყაია, ნ. ს. კახიანის სახელობის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი:** 31 წლის მერაბ ლელაშვილის დიაგნოზი ასეთია: მას აქვს ფილტვებისა და პლევრის დაზიანება ტრავმის შედეგად. ამას გარდა, უამრავი მსუბუქი ჭრილობაც აქვს. ოპერაციის შემდეგ მის მდგომარეობას შეიძლება დამაკმაყოფილებელი ვუწოდოთ. სამწუხაროდ, მეორე მამაკაცი ჩვენთან უკვე გარდაცვლილი მოიყვანეს. თანაც არ ჰქონდა არავითარი საბუთები და ჯერჯერობით მისი ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა. გარეგნულად 35-40 წლისა უნდა იყოს.

**დავით ცქიტიშვილი, ე. ქ. ფიფიას სახელობის რკინიგზის პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმი:** ჩვენ მოგვმართა ორმა მოქალაქემ. 18 წლის ზურაბ სომხიშვილს თავის არეში მსუბუქი ჭრილობა ჰქონდა. საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ იგი შინ გავუშვით, ხოლო 25 წლის მანანა ტაბატაძე, რომელსაც აქვს ნაკვეთი ჭრილობა მარჯვენა წინა მხარში, თბილისის პირველი საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს სახსრების ქირურგიის განყოფილებაში გავგზავნეთ. შესაძლოა, მას ოპერაცია დასჭირდეს.

**ზურაბ ბერიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის 1-ლი კლინიკის მთავარი ექიმი:** მადლობა ღმერთს, ჩვენთან მოსულ 13 წლის მაკა ჯოხაძის, თამარ ორაგველიძისა და მიხეილ ასლანიას ჭრილობები მძიმე არ არის და ისინი საავადმყოფოში დიდხანს არ დაუყოვნებიათ.

**ნოდარ ახათიანი, ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე:** ჩვენთან მოვიდა მხოლოდ ერთი პაციენტი, 43 წლის ქეთევან მღებრიშვილი. მას აქვს ჭრილობა მარჯვენა მხრის არეში. ექიმები არ შიშობენ მისი ჯანმრთელობის გამო.

**თამაზ ჯიბლაძე, ქალაქის მე-8 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი:** 17 წლის ჯემალ იბრაგიმოვს გაუკეთდა ოპერაცია, რადგან მას სახე აქვს დაშავებული. რამდენიმე დღის შემდეგ მას საავადმყოფოდან გავწერთ.

**2 ოქტომბერს დღის განმავლობაში თბილისის საავადმყოფოებში საჭირო დახმარება გაუწიეს მეტროს სადგურ „დიდუბის" რაიონში აფეთქებათა შედეგად დაზარალებულ 24 კაცს. მათგან 12 ჰოსპიტალიზებულია, ერთის მდგომარეობა მძიმეა, ერთი გარდაიცვალა.** ეს სავალალო შედეგი შეაჯამა ქალაქ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსმა ავთანდილ ჯორბენაძემ. ამასთან მან არ გამორიცხა, რომ სამედიცინო დახმარებისთვის ტრაგედიის სხვა მონაწილეებმაც შეიძლება მიმართონ.

**იური გოლდმანი,**
საქინფორმი.

**საქინფორმის ფოტოქრონიკასა და თედო ნიკოლაიშვილის ფოტოები.**







**აკაკი**

## გიჟი დრო

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!..
ქართველს ქართველი მოუკლავს
და უპატრონოდ გორავსა.

ნაშობს აღარ სწამს მშობელი,
ძმა ძმაზე ახრჭენს კბილებსა...
ნეტავი რა აქვსთ სამტერო
ერთი დედ-მამის შვილებსა?

ვისაც კი ნახავ ამ დროში,
ცხოვრების უმადურია,
და ჯავრის ამოსაყრელად
სუყველას სისხლი სწყურია!

მაგრამ ვერ არჩევს, მზე-ბნელი,
ვერც მტერს და ვერც მოყვარესა
და ვის მიენდოს, არ იცის,
რომელ ხალხს და რა მხარესა?

ვეღარა ხედვენ, დაებნათ
საერო გზა და კვალიცა,
რომ აღარა სწამთ წარსული,
არ სჯერათ მომავალიცა.

მეტყვიან: დროებითია
ეს ყველა წარმავალიო?
კი, მაგრამ მაშინ რაღა ვქნათ,
რომ წაგვიხდინოს კვალიო?

რაც ათასწლობით აღვნიშნეთ,
ის ამოვიფხრთ სუყველა
და ვეღარ მივსწვდეთ მომავალს,
გავქრეთ.. გავქარწყლდეთ ნელ-ნელა?

აღარვინ ფიქრობს ამაზე,
შორს საკითხია ესაო...
ჩვენ მხოლოდ უნდა ვიზრუნოთ,
რაც ჰშვენის დღეის-დღესაო!..

ასე იძახის სუყველა,
კაჭკაჭად გადაქცეული,
გულის მაგიერ რომ მხოლოდ
კუჭი ჰყავთ გაღმერთებული.

მზეო, ამოდი, ამოდი!
ნუ ეფარები გორასა!
თორემ სიბნელემ დაგვძლია,
ვსდგამთ უგნურების ხორასა!

დრო არის სწორ გზას დავადგეთ,
გამოვახილოთ თვალები,
რომ მოყვარებს მაინც გადავრჩეთ,
მტრისაგან განაწამლები!

მზეო, ამოდი, ამოდი!
ნუ ეფარები გორასა!
ქართველს ქართველი მოუკლავს
და ჯერაც აგერ ჰგორავსა...

1908

## გამოხმაურება

# „ფაქტებიდან გამომდინარე... გაუგებრობის ფონზე"

**გაზეთ** „საქართველოს რესპუბლიკის" მიმდინარე წლის 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მატერიალური რესურსების მინისტრის იგორ ჩხეიძის წერილი „ფაქტებიდან გამომდინარე".

წერილი დაწერილია მიმდინარე მომენტის გათვალისწინებით და მთლიანად ექვემდებარება მის მოთხოვნებს. ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ მასში მოტანილი მთელი რიგი ფაქტები, გარკვეული თვალსაზრისით, წინააღმდეგობრივია და მაინცდამაინც ნათელ წარმოდგენას არ იძლევა იმის შესახებ, თუ რისი თქმა სურს ავტორს. ერთი რამ კი აშკარად იგრძნობა: ავტორი ყოველნაირად ცდილობს, რომ რესპუბლიკაში არსებული დაძაბული მდგომარეობა საკუთარი პოლიტიკური ავტორიტეტის ასამაღლებლად გამოიყენოს. ის, ვისაც ჰგონია, რომ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება კარგია, გაამართლებს პატივცემული მინისტრის საქციელს, მაგრამ სხვა, ვინც ერკვევა დასახელებულ წერილში მოხმობილ ფაქტებში, უეჭველად მკაცრ, მაგრამ სამართლიან დასკვნას გამოიტანს.

ჩვენი სიტყვა რომ ლიტონ განაცხადად არ დარჩეს, გადავხედოთ თუ რას წერს ი. ჩხეიძე ერთი მეტად საინტერესო საკითხის ირგვლივ, რომლის შესახებაც, ჩვენი აზრით, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას სწორი და ამომწურავი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, რადგანაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამას პირდაპირი კავშირი აქვს მათ მატერიალურ უზრუნველყოფასთან. ი. ჩხეიძე ასახელებს მრავალ ფაქტს, რომლითაც ცდილობს დაგვანახოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის უსწორო მოქმედება. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ „მთავრობის თავმჯდომარის მეშვეობით **გაურკვეველი პიროვნების, ვინმე ლენინგრადელი კონსტანტინე ფიფიას** სახელზე გაცემულია უფლებამოსილების მანდატი 100 მილიონი დოლარის ოდენობით იმ მიზნით, რომ ფიფიამ აწარმოოს საქართველოს სახელით მოლაპარაკება **შერჩევაზე და რესპუბლიკაში ამ თანხის საქონლის შემოტანაზე** კონტრაქტის გაფორმების უფლებით (ეს ჩვენ გამოგვეცხადა მისი თბილისში არსებული ეგრეთ წოდებული „ფილიალის" წარმომადგენელმა). ესეც დამაფიქრებელი საკითხია. **100 მილიონი დოლარი რომ გადაიყვანოთ მანეთებზე დღევანდელი კურსით, ეს შეადგენს 8,5 მილიარდ მანეთს. ანუ რესპუბლიკის ბიუჯეტის ნახევარს,** და ამ თანხაზე უფლებამოსილების მანდატი გასცეს **თითქმის უცნობ პიროვნებაზე, თანაც საქართველოში არ მცხოვრებზე.** ეს არ მიმაჩნია სწორად, მეტი რომ არა ვთქვათ".

მეტს ჩვენ ვიტყვით!

მანამდე კი მკითხველს ვთხოვთ, ერთ დეტალს მიაქციოს ყურადღება: ი. ჩხეიძის წერილი 18 სექტემბერს გამოქვეყნდა. იმედი მაქვს სარედაქციო ფოსტაში ის დიდხანს არ იდებოდა. ამ დროისათვის კი ბ-ნ კონსტანტინე ფიფიას საკმაოდ მრავალი რამ უკვე გაკეთებული ჰქონდა **საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისთვის.** მაინც, ზოგიერთი რამ გავიხსენოთ: მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისთვის 100 ცალი ათკაციანი კარავი (130 ათასი მან. ღირებულების), მედიკამენტები (500 ათასი მან.), სათესლე კარტოფილი (285 ათასი მან.), საჩხერის, ამბროლაურის, ონის, ჭიათურის პრეფექტურებს გადაეცათ ბავშვის იმპორტული ტანსაცმელი (1 900 ათ. მან), მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხა 100 ათასი მანეთი, თბილისის 184-ე სკოლის ანსამბლს „ცეროდენას" გადაერიცხა 100 ათასი მანეთი, საქართველოს ეკლესიას გადაეცა 2 მილიონი მანეთი, ბრაზილიაში შეძენილია შენობა ოფისისათვის, რათა იქ მოთავსდეს საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობა.

იმასაც ყურადღება მიაქციოს მკითხველმა, რომ ყოველივე ეს ბ-მა კონსტანტინემ გააკეთა ხალხისა და ქვეყნისათვის უანგარო დახმარების მიზნით და არა რაიმე კომერციული მისწრაფებით. ვიმეორებთ, რომ, რაც ჩამოვთვალეთ, ხალხმა ყველაფერი უფასოდ და უსასყიდლოდ მიიღო. ბ-მა კონსტანტინემ, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ადამიანებს მადლობის გადახდის საშუალებაც კი არ მისცა. ის კმაყოფილდება იმით, რომ უანგაროდ თესავს სიკეთეს და ამით ღებულობს იმ სიამოვნებას, რომელიც მარტოოდენ რჩეულთა ხვედრია.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ ჩამოგვეთვალა მრავალი რამ, რასაც ბ-ნი კონსტანტინე აკეთებს საქართველოსათვის, მაგრამ ჯერჯერობით ესეც საკმაოა. საკმაოა იმისთვის, რათა ყველამ დაინახოს და იცოდეს, რომ თუ ყოველივე ეს, რაც ჩამოვთვალეთ, გაკეთებული იყო 18 სექტემბრამდე, ჰქონდა თუ არა რაიმე მორალური უფლება ი. ჩხეიძეს, რომ ელაპარაკა „გაურკვეველი პიროვნების, ვინმე ლენინგრადელი კონსტანტინე ფიფიას", „თითქმის უცნობის", „თანაც საქართველოში არ მცხოვრების" შესახებ? კატეგორიულად ვიმეორებთ, რომ ამის უფლება მას არ ჰქონდა. ასეთი სტილისტური უზრდელობის შემთხვევაში, ძველ კეთილ დროში მას არა მარტო მინისტრის სავარძლის დატოვება მოუწევდა, არამედ ბარიერთან დადგომაც. მაგრამ სამწუხაროდ, ის ეპოქა გავლილია: საეჭვოა, რომ ი. ჩხეიძე რაფინირებული უზრდელობისათვის ვინმემ დასაჯოს. მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან სათანადო რეაგირებას მოითხოვს.

საკითხი ეხება მიმდინარე წლის თებერვალში ბ-ნ კონსტანტინე ფიფიას სახელზე 100 მილიონი ამერიკული დოლარის თანხაზე უფლებამოსილების გაცემას, რომლის ძალითაც ბ-ნი კონსტანტინე რესპუბლიკაში შემოიტანდა ჩვენთვის საჭირო სურსათს, ძირითადად ხორცს, შაქარს, ბრინჯს, ცხიმეულს. მე მივმართავ კითხვით საქართველოს მთელ მოსახლეობას: როგორ, განა თქვენ თავზე გადაგდით სურსათ-სანოვაგე, რომ უარს ამბობთ ბ-ნ კონსტანტინესგან დასახმარებლად გამოწვდილ ხელზე? მე უკვე მესმის ხუთმილიონიანი ძახილი: არა, ჩვენ უარს არ ვამბობთ, ჩვენ ეს გვჭირდება!

დიახ, მეგობრებო, ჩვენ ეს დახმარება გვჭირდება, მაგრამ ვერ ვღებულობთ იმის გამო, რომ მის განხორციელებას ხელს უშლიან იგორ ჩხეიძე და მისი თანამოაზრენი.

კი, მაგრამ რა მოტივით?

არასერიოზულობის და არაკომპეტენტურობის კლასიკურ მაგალითად უნდა ჩაითვალოს იგორ ჩხეიძის „არგუმენტები". „გაურკვეველი პიროვნება... თითქმის უცნობი... თანაც საქართველოში არმცხოვრები". თავს ვერ ვიკავებ, რომ ირონიით არ ვკითხო პირადად ჩემთვის უკვე კარგად გარკვეულ, მაგრამ უცნობ და საქართველოში მცხოვრებ იგორ ჩხეიძეს: რამდენად იცნობს იგი უაიტს, გარდნერს, უოტსონს, სმიზერსს, ფეირჩაილდს, ბრეიდს, პოლდეინს, ლეპჭემს, მეიზერს, დოუს, რეიერსონს, პიუს, ლაფლინს, ჰორნს, სტიუარტს? დარწმუნებული ვარ, არ იცნობს. ხოლო თუ ყური მოუკრავს, რომ ამერიკის ეკონომიკას ეს მაგნატები დაინტერესებას იჩენენ საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, უეჭველად მათ წინააღმდეგ გაილაშქრებს, რადგანაც ეს უბედურები საქართველოში ჩაწერილი არ არიან. ღმერთო ჩემო, რა გვეშველება? ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო. ვფიქრობ, რომ იგორ ჩხეიძეს ღმერთი სწამდეს, თუმცა თავისი წერილის ბოლოს აღნიშნავს — ღმერთი იყოს ჩვენი მფარველიო. არ მჯერა მისი შეძახილისა, რადგანაც მისი და მისნაირების გამოისობით საქართველოს მოსახლეობა, უკვე დაზარალდა (კონტრაქტის რეალიზაციას ვადა გაუვიდა!), ხოლო ჭეშმარიტ ქრისტიანსა და ქველმოქმედ ადამიანს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენეს.

გულახდილად ვეტყვი ჩემს თანამემამულეებს: მე რომ ბ-ნ კონსტანტინე ფიფიას ადგილას ვიყო, ზურგს მოგაქცევდით და დასახმარებლად ხელს არ გამოგიწვდიდით. ეს იმიტომ, რომ თქვენ უნარი არ შეგწევთ უვიცობისა და უსინდისობის შემოტევისგან დაიცვათ ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაგეხმაროთ, რათა შექმნათ ისეთი ეკონომიკა, რომელიც თქვენს შვილებს ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს. მაგრამ მე ვიცი, რომ ბ-ნი კონსტანტინე ასე არ მოიქცევა. ის მაინც ეცდება დაეხმაროს თავის ქვეყანასა და ხალხს. მით უმეტეს, რომ ასეთი ძნელბედობის ჟამს, სწორედ მისნაირი, ღმერთთან ახლოს მდგომი ადამიანების დახმარება ესაჭიროება საქართველოს.

**მინაწერი:** არ მინდა მკითხველს დავუმალო ის ფაქტი, რომ ბ-ნ კ. ფიფიას საქართველოში კი შემოჰქონდა „ზოგიერთი რამ", მაგრამ გაჰქონდა კიდეც. მაგალითად, მისმა ფირმამ საქართველოდან გაიტანა გადარიცხვით შეძენილი შემდეგი საქონელი: სამი ტონა ჩაი (52 832 მან. ღირებულების), ღვინო, არაყი, კონიაკი (262 468 მან. ღირებულების). დაე, თავად მკითხველმა დაიანგარიშოს, თუ სულ რა ღირებულების საქონელი გაიტანა კ. ფიფიამ და მიღებული თანხა როგორ შეეფარდება საქართველოსთვის უსასყიდლოდ გადაცემულ ღირებულებებს.

**როლანდ გურშულაძე.**

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს

**როგორც** თქვენი გაზეთის 28 სექტემბრის ნომრიდან ირკვევა, უზენაესი საბჭოს წევრს ბ-ნ ტარიელ ფუტკარაძეს სამი დღე, 22-25 სექტემბერს, უფიქრია (ასეა დათარიღებული მისი წერილი „რაც ღმერთსა არა სწადდეს"), რათა გავერკვიოთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში. ვფიქრობ, ეს ვადა მას არ ეყო, თორემ, ალბათ, პირდაპირი ცილისწამებისაგან თავს შეიკავებდა.

ვსარგებლობ პრესის შესახებ ახლახან მიღებული დემოკრატიული კანონით და გთხოვთ, თქვენივე გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ შემდეგი განცხადება;

არ ვაპირებ ბ-ნ ტ. ფუტკარაძესთან პოლემიკას, მიუხედავად იმისა, რომ მის ძირითად მოსაზრებებს არ ვიზიარებ, მინდა მხოლოდ განვუცხადო კატეგორიული პროტესტი ერთი ფრაზის გამო.

მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ასეთ რამეს წერთ:

„28 ოქტომბრის არჩევნებამდე ქართველი ერი სამი გზის გასაყარზე იდგა: მოსკოველი „დემოკრატების" მიერ შემოთავაზებულ გეგმას ბ-ნი ვ. ადეძის თავმჯდომარეობით სახელდახელოდ შექმნილი საარჩევნო ბლოკი ახორციელებდა (მიზანი — გარკვეული სუვერენიტეტით განახლებულ სსრკ-ში)".

ვ. ადეძის თავმჯდომარეობით შექმნილი ბლოკის საარჩევნო პლატფორმაში კი ცალსახად წერია:

„თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება" აერთიანებს „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირსა" და სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიას", ისინი მიზნად ისახავენ ქართველი ხალხისა და მასთან ერთად საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების კონსოლიდაციას:

**საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად;**

**სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის მისაღწევად;**

**ახალი, თავისუფალი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის" შესაქმნელად და განსამტკიცებლად".**

საარჩევნო პლატფორმა თავის დროზე გამოქვეყნდა პრესაში, დაიბეჭდა და გავრცელდა ცალკე ბროშურის სახით, გადაიცა ტელევიზიაში.

საარჩევნო პლატფორმის ეს დებულებები უცვლელად იმეორებს საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის (რომლის თავმჯდომარეც არის ბ-ნი ვალერიან ადეძე) პროგრამის შესაბამის მუხლებს.

მაშ, საიდან ასკვნის ბ-ნი ტ. ფუტკარაძე, რომ ეს ბლოკი ახორციელებდა მოსკოველი ბრჭყალებიანი „დემოკრატების" გეგმას? იქნებ ამ ბლოკმა არჩევნებში გაიმარჯვა და პრაქტიკულ საქმიანობაში უღალატა მის მიერ გაცხადებულ პრინციპებს? არა მგონია, ბატონი დეპუტატი გულისხმობდეს ამჟამად მთავრობაში მიწვეულ სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის სიიდან ამ საარჩევნო ბლოკის სიაში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ ბატონებს მურმან ომანიძეს, ნოდარ გიორგაძეს და ელიზბარ ჯაველიძეს, იქნებ ისინი იღვწიან ახლა „გარკვეული სუვერენიტეტით განახლებულ სსრკ"-ში შესასვლელად? ასეა, ბატონო ტარიელ?

საინტერესოა, ერთობ საინტერესო, რომ მოსკოველ ბრჭყალებიან „დემოკრატებთან" ალიანსისთვის ბ-ნი ტ. ფუტკარაძე ვერ იმეტებს კომპარტიასაც კი და გულუხვად უთმობს ამ „პატივს" ბ-ნ ვალერიან ადეძეს და მის კავშირს! უთუოდ დასაფასებელია მადლიერების გრძნობა „აღმზრდელი" კომპარტიისადმი!

სამწუხაროა, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში, თორემ ბ-ნი ტ. ფუტკარაძე ვერ გადაურჩებოდა ცილისწამებისთვის სასჯელს, სხვა თუ არაფერი, მორალური ზიანის მიყენებისთვის ათიათასობით მანეთის გადახდა მაინც მოუწევდა.

იქნებ სჯობდეს დღეს, როცა ყველანი ერთმანეთს შერიგებისაკენ მოვუწოდებთ, ეყოს ბ-ნ ტ. ფუტკარაძეს ვაჟკაცობა, საჯაროდ მოიხადოს ბოდიში უტაქტობისათვის?

**რომან მიმინოშვილი,**
**საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის თანათავმჯდომარე.**

## გვახსოვდეს ისტორიის გაკვეთილები!

**ძვირფასო** თანამემამულენო! ჩვენი ქვეყნისთვის ამ მძიმე ჟამს დიდი გამჭრიახობა გვმართებს. ქუჩის აღელვებულ სიტუაციაში ძნელი გასარკვევია, ამა თუ იმ საკითხში ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. ყოველ მოვლენასა და ფაქტს მრავალი ასპექტით განჭვრეტა სჭირდება და ამისთვის სულმოუთქმელი, დინჯი და პროფესიული მსჯელობაა საჭირო. **ჩვენმა ხალხმა კანონიერი გზით გადაწყვიტა თავისი ბედი და მას ჰყავს თავისი არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი.** ახლა უკვე იმაზე მსჯელობა, გვჭირდება თუ არა პრეზიდენტი, ულოგიკობად ჩანს.

ჩვენ მოვიპოვეთ დიდი გამარჯვება, მტკიცე ნაბიჯი გადავდგით წინ ეროვნული თავისუფლებისაკენ. შინაური დაბრკოლებების შექმნა დამღუპველია. ჩვენი ეზოს ჭიშკარი ღიაა, მტერი მზადაა. უთანხმოებებს მოლაპარაკებით, აზრთა სხვადასხვაობებს ურთიერთდათმობების გზით უნდა მოვუაროთ. სხვა გზა არ არსებობს! მხოლოდ ურთიერთშემწყნარებლობა, მხოლოდ ურთიერთდანდობა!

გვახსოვდეს ისტორიის გაკვეთილები, ისტორია მკაცრი მსაჯულია!

ჩვენ უფლება არა გვაქვს დღევანდელი ვითარება საქართველოს განთავისუფლებისა ხელიდან გავუშვათ!

**ქეთევან ლომთათიძე,**
აკადემიკოსი.

## დიდად მაღელვებს

**საქართველოსა** და ჩერქეზეთის ისტორიულ ძმურ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს. როგორც ჩერქეზი ხალხის წარმომადგენელს, დიდად მაღელვებს თბილისში მიმდინარე პროცესები. იმედი მაქვს, რომ თავისუფლებისმოყვარე, ბრძენი ქართველი ხალხი დამოუკიდებლად გადაწყვეტს თავის ბედს და არ დაუშვებს ძმათამკვლელ ომს.

**მუხადინ კუმახოვი,**
აკადემიკოსი,
მოსკოვი.

## სამშვიდობო ინიციატივების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

**ამა** წლის 2 სექტემბერს სტუდენტების, ინტელიგენციის, საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა სამშვიდობო ინიციატივების საკოორდინაციო ცენტრი. მასში შედიან სხვადასხვა პოზიციის მქონე პირები, რომელთაც აერთიანებთ ერთი მიზანი — სამოქალაქო მშვიდობის დამყარება საქართველოში.

ცენტრი მზად არის მხარი დაუჭიროს ყველა იმ კონსტრუქციულ წინადადებას, რომელიც მოწოდებული იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისაკენ. თითოეული ჩვენთაგანი თავის მოქალაქეობრივ ვალად თვლის საქართველოსთვის ამ საბედისწერო ჟამს, ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაიშუროს თავისი ენერგია და ითანამშრომლოს დაპირისპირებულ მხარეებთან მათ შორის მოლაპარაკებისა და ურთიერთთანხმობის მიღწევის მიზნით.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამშვიდობო ინიციატივების საკოორდინაციო ცენტრი.**

## ღია წერილი-შეკითხვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

**თქვენო უწმინდესობავ!**

მორწმუნეთათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს საპატრიარქო საერთაშორისო საქმოსნებთან ერთად აპირებს ე. წ. „ქრისტიანული ბანკის" შექმნას; რომ ამჟამად თბილისში იმყოფება ამ საქმით დაინტერესებულ პირთა ჯგუფი უცხოეთიდან. უმორჩილესად გთხოვთ, ამბიონიდან ან პრესის საშუალებით, ამ ფაქტით დაბრკოლებულ მრევლს განგვიმარტოთ, ხომ არ უთანაბრდება საპატრიარქოს საბანკო საქმიანობა საეკლესიო მევახშეობას, რაც „დიდი სჯულის კანონით" დაგმობილი და ანათემირებულია და რის არარსებობაც ჩვენში ყოველთვის ხელსაყრელად წარმოაჩენდა მართლმადიდებელ ეკლესიას თუნდაც ვატიკანთან შედარებით?

**გიორგი გაბაშვილი,**
**გიორგი მახარაძე.**

## ღვაწლი

# გავარჩიოთ თეთრი და შავი

**მიწისძვრით** დაზარალებულ რეგიონებში ბოლო დროს სამშენებლო შტაბის სხდომები ცალკეული რეგიონების მიხედვით იმართება. საქართველოსთვის ამ მეტად დაძაბულ და გადამწყვეტ დღეებში ყურადღება ეთმობა დასახული პროგრამის შესრულებას, ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. დღეს, როგორც არასდროს, თითოეულ ჩვენგანს ერთ მუჭად შეკვრა გვმართებს, რათა საქართველოს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მივაღწიოთ. დღეს ამ გზიდან გადახვევა, ამბიციების აყოლა, შუღლის გაღვივება, სამშობლოს ღალატია და შთამომავლობა ამას არ გვაპატიებს, ახლა ქართველი კაცის სალოცავი მამული თავისუფლების კარიბჭესთან დგას და თითოეული ჩვენგანის თანადგომას საჭიროებს. ვერაგი და ჩასაფრებული მტერი ყველა ხერხს მიმართავს, რომ ეს კარიბჭე არ შევაღოთ და მონობის უღელი არ გადავაგდოთ.

როცა შტაბის სხდომებზე მყოფ მშენებელთა და მის მუშაობაში მონაწილე სტიქიით დაზარალებულთა სახეებს ვაკვირდებოდი, აშკარად ვგრძნობდი, როგორ ენდობა ხალხი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, კანონიერად არჩეულ მთავრობას. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ რამდენჯერმე მოინახულა მიწისძვრით დაზარალებული რეგიონები, გაამხნევა ხალხი, შემუშავდა დაზარალებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენის პრაქტიკული ღონისძიებანი.

როცა პირველად მიწისძვრით დაზარალებული რაიონები მოვინახულე, გული მეკუმშებოდა, ჩემ თავს ვეუბნებოდი: ვინ არის ამის ამშენებელი, რით და რა საშუალებებით? მაგრამ რამდენიმე თვეში სურათი მკვეთრად შეიცვალა, წარმოუდგენლად ბევრი რამ გაკეთდა. ნუ ვიქნებით პატარა კაცუნები, ვიყოთ გულისხმიერი ადამიანები, ნუ ავყვებით პროვოკაციულ ჭორს, თითქოს სტიქიით დაზარალებულ რაიონებში არაფერი შენდება, სამშენებლო მასალები იყიდება, ხალხი ვერ გამოიზამთრებს და ღია ცის ქვეშ დარჩება. ვისაც ასეთი შეხედულება და აკვიატებული აზრი აქვს, ერთხელ მაინც მოინახულოს მიწისძვრით დაზარალებული საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, ახალგორის, ქარელის და სამაჩაბლოს რეგიონები და თავის თვალით ნახოს ის ვაჟკაცური შრომა, რასაც ქართველი მშენებლები ეწევიან.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: არ შენდება? შენდება და მერე როგორ, სად არის ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ამდენი სამშენებლო მასალა, როგორ ახერხებენ? მე ვიტყოდი, რომ ყველაფერი, რასაც დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებში მშენებლები აკეთებენ, ყოველგვარ საქებარს აღემატება და თუ არ გვიგეთ, მაშინ რაღა თვალი და ყური გვქონია. დასანახი უნდა დავინახოთ, შავი და თეთრი უნდა გავარჩიოთ და ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდოთ.

როგორც სამთვიანი მუშაობის შედეგებმა გვიჩვენა, აღებული მუშაობის ტემპები იძლევა იმის გარანტიას, რომ სამუშაოები ორ წელში დამთავრდება, ნაცვლად დაგეგმილი ოთხი წლისა.

დღეისათვის სამშენებლო კომპლექსების საქმიანობაში მონაწილეობს 170-მდე ორგანიზაცია, რომლებიც ყველა სახის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებენ. ამ რაიონებში გადაყვანილია 20 ათასი პროფესიონალი მშენებელი, სამუშაოებში ჩართულია 5-6 ათასი ადგილობრივი მუშა, სამშენებლო ინდუსტრიისა და დამხმარე საწარმოებში დასაქმებულია ხუთი ათასი ადამიანი, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია დაზარალებულ რაიონებში იგზავნება. სტიქიით დაზარალებულ რაიონებში 6200 ავტომანქანა მუშაობს.

დღევანდლამდე აღდგენითი სამუშაოებისათვის გამოყოფილია 85 მილიონი მანეთი, წლის ბოლომდე მთლიანად უნდა გამოიყოს 700 მილიონი მანეთი, სხვა ხარჯებთან ერთად მოსახლეობის გამოსაზამთრებლად საჭიროა 3000 სახლ-ვაგონის შეძენა, რომელთა საერთო ღირებულება 40 მილიონ მანეთს შეადგენს. 20 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება კომერციული ბენზინის შესაძენად, რათა ერთი წუთითაც არ შეფერხდეს სამშენებლო სამუშაოები.

სამუშაოების მასშტაბური წარმოება შეუძლებელია სამშენებლო ინდუსტრიის ადგილობრივი სიმძლავრეების შეუქმნელად. ამიტომ ონის რაიონში აშენდა ღორღისა და ქვიშის დამამზადებელი ქარხანა, რომლის სიმძლავრე ცვლაში 200 კუბური მეტრია. აქვე აშენდა საწარმოო ბაზა, სადაც მოქმედებს ბეტონის კვანძი, რომელიც ცვლაში 250 მეტრ ხსნარს უშვებს და ადგილობრივ სამშენებლო უბნებს ამარაგებს სასაქონლო ბეტონით, იმავე ბაზაში დამონტაჟდა და ამოქმედდა მცირე საკედლე ბლოკების საამქრო. მისი წარმადობა დღეში 10000 ცალი ბლოკია. ქალაქ ონში დამონტაჟებულია ორი ბეტონის კვანძი, თითოეული მათგანის სიმძლავრე ცვლაში 100 კუბური მეტრი ბეტონია. აქვე აშენდა ახალი იმპორტული წარმოების ასფალტბეტონის ქარხანა, რომელიც დააკმაყოფილებს რეგიონის მოთხოვნებს.

საჩხერის სამშენებლო კომპლექსმა მოაწყო მატერიალური მომარაგების ბაზა, სადაც ცენტრალიზებულად იგზავნება ძირითადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები. დამონტაჟდა და ამოქმედდა 15 ბეტონისა და ხსნარის დამამზადებელი კვანძი, რომელთა საერთო სიმძლავრე დღეში 3500 კუბურ მეტრ ხსნარს აღემატება.

შიდა ქართლის სამშენებლო კომპლექსში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ამოქმედდა წლების განმავლობაში უმოქმედოდ მდგომი ერედვის კარიერი. კარიერთან არსებული ქარხანა ყოველდღიურად კომპლექსის ობიექტებს აწვდის 8000 ცალ მცირე საკედლე ბლოკს.

ზესტაფონის სამშენებლო კომპლექსში შეიქმნა ბაზა სასაქონლო ბეტონის მისაღებად. სიმძლავრე 120.000 კუბური მეტრია წელიწადში. ცემენტის დეფიციტმა აიძულა მშენებლები ბეტონის შემავსებლად გამოიყენონ ზესტაფონის „სილიკომანგანუმის" ნარჩენები. წლობით ნაგროვები ეგრეთ წოდებული „ფეროს მტვერი" ახლა ხალხის სამსახურში ჩადგა და წელიწადში 200.000 ტონამდე ცემენტს დაზოგავს.

ამბროლაურში დამონტაჟებულია სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი (წარმადობა ოთხი ათასი კუბური მეტრი ქვიშა და ღორღია). ამბროლაურში დღეში მზადდება 7000 ცალი მცირე საკედლე ბლოკი.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებები იძლევიან დიდ ეკონომიას, რადგან იზოგება საწვავი, მცირდება სატრანსპორტო ხარჯები, მასალების დანაკარგები და სხვა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დიდებული ტაძრების, სამონასტრო კომპლექსების, ციხე-სიმაგრეებისა და ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლების ხელახალი აგება და აღდგენითი სამუშაოები.

მიწისძვრით დაზარალებულ რეგიონში მომუშავე 40 ათასი კაცი, ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტსა და პრეზიდენტს, დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, გამოსავალს ხედავს კეთილხმოვნების დამკვიდრებასა და შინაგან განწმენდაში.

**ჯემალ გურული,**
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

## საკუთარ სახლში

# დავაჩქაროთ მოსავლის აღება

**ბოსტნებში** მიმდინარეობს საგვიანო ჯიშების კომბოსტოს, პამიდვრის, სუფრის ჭარხლის აღება... ბაღებში კრეფენ ვაშლსა და მსხალს, ზვრებში კი საცაა დაიწყება რთველი. შემოდგომა ის პერიოდია, როცა საჭიროა სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომა, როცა აგრეგატები, ავტომანქანები, ტრაქტორები, მიმღები პუნქტები და გადამამუშავებელი საწარმოები, პირდაპირ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში უნდა მუშაობდნენ. მაგრამ დღეს სოფლად სულ სხვა სურათს ვნახავთ. მწვავედ იგრძნობა მუშახელის და ტრანსპორტის ნაკლებობა, მხოლოდ სანახევროდაა დატვირთული კვების მრეწველობის დარგების საწარმოები. რთული ვითარება იქმნება. პოლიტიკური დაპირისპირება გავლენას ახდენს ჩვენი ეკონომიკის აგრარულ სექტორზეც.

გასულ წლებთან შედარებით ჩამორჩება კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის დამზადება. წლევანდელი მოსავლის აღების კამპანია კი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპუბლიკისათვის, რომელიც სრული დამოუკიდებლობის გზას დასდგომია: წინ ზამთარი გველის. ძნელი სათქმელია, თუ როგორი იქნება იგი. სხვისი დახმარების იმედიც არ უნდა გვქონდეს. ისე უნდა გავანაწილოთ ჩვენი ძალები, რომ ძირითადად შევძლოთ საკუთარი თავის უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით.

სასიხარულოა, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის გარშემო რაიონებს შემოაქვთ ქალაქელებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მაგრამ აქ ბოლომდე არ არის მოფიქრებული ფასების საკითხი. და სავსებით სამართლიანად უჩივიან ქალაქელები იმას, რომ მეურნეობები პროდუქციას ძვირად ყიდიან. მართალია, ეს ფასები რამდენადმე ნაკლებია ბაზართან შედარებით, მაგრამ ესეც დიდი ვერაფერი ნუგეშია. მეორე ფაქტორი, მრავალ მოიჯარეს თვითონ შემოაქვს ქალაქში გასაყიდად მოწეული მოსავალი და თვითონ ადებს მას ფასს, რომელიც, როგორც წესი, ასევე დიდია. მეურნეობებს ამ პერიოდში არ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან ზამთრისთვის მოსავლის დაბინავების, მისი გადასამუშავებლად მიწოდების საკითხები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბოსტნეული და კარტოფილი ნაკლები რაოდენობით იკარგება, როცა საცავები განლაგებულია წარმოების ადგილების მახლობლად. ეს საშუალებას იძლევა აგრეთვე შემცირდეს ტვირთგადასაცლელი წერტების ოდენობა, უფრო სწრაფად დაბინავდეს მოსავალი, რასაც, შემოდგომის მოსალოდნელი წვიმების პირობებში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ იქ, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს საცავების მომზადება, საჭიროა მათი სასწრაფოდ მოწესრიგება, დაწყებული მშენებლობის დამთავრება.

რაიონული პრეფექტურები და საკრებულოები ვალდებული არიან გაზარდონ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსავლის ბედისთვის, მოკლე ვადებში დარაზმონ ადამიანები მის ასაღებად, მოაგვარონ ტრანსპორტის გამართული მუშაობა, იზრუნონ ზამთრის საკუჭნაოებისათვის... დღეს სოფლად დაგროვდა მრავალი დიდი თუ პატარა საქმე. მათი სახვალიოდ გადადება ნიშნავს რესპუბლიკის ისედაც რთული სასურსათო ვითარების კიდევ უფრო გამწვავებას.

**რ. ახმეტელი,**
საქინფორმის კორ.



# იმედით...

**უკვე** მერამდენე დღეა საქართველოს დედაქალაქისაკენ მომავალ გზას მოუყვება მეგონა გულავა.

გზა ძნელია და რთული, მით უმეტეს, ხეიბარი კაცისათვის... მოდის რომ თავისი გაუტეხელი სულით მოგვახედოს ერთმანეთისაკენ, გული მოგვიბრუნოს სამტროდ მომართულებს, აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, ქართლის გზებზე მას მოაცილებს ცრემლითა და იმედით აღსავსე თვალები.

**სურათზე:** მეგონა გულავა სოფელ შროშასთან.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.

# გვთავაზობს „სოლანი"

**დახლებზე** არ აწყვია ხალხური მხატვრული სარეწების „სოლანის" გაერთიანებათა ხელმარჯვე ოსტატების ნაწარმოებები. აქ მუშაობს საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსული ასობით ოსტატი. გაერთიანების მაღაზიები იღებენ აგრეთვე საქონელს, რომელიც მცხეთის კერამიკულ კომბინატშია დამზადებული.

საწარმოო გაერთიანებასთან შექმნილი სამხატვრო საბჭო იძლევა რეკომენდაციებს, აწყობს ხელმარჯვეთა შემოქმედებით მეცადინეობას.

ოსტატებს კონსულტაციას უწევენ აგრეთვე საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, ხელოვნების რესპუბლიკური მუზეუმი, სამხატვრო აკადემია.

ხალიჩები, ქედურობა, კერამიკა, საიუველირო ნაწარმი, ეროვნული კოსტიუმები და ტანსაცმელი, საოჯახო ჭურჭელი — აი, „სოლანის" ასორტიმენტის არასრული ნუსხა.

საქართველოს ხალხურ ხელმარჯვეთა ნაწარმი არაერთხელ ყოფილა წარმოდგენილი მსოფლიო, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენა-ბაზრობებზე.

რესპუბლიკის ყველა ქალაქში გახსნილია „სოლანის" მაღაზია-სალონები, რომლებშიც შეიძლება იყიდოთ და შეუკვეთოთ მოწონებული სუვენირები.

**სურათებზე: კერამიკული ნაწარმი „სოლანის" მაღაზია-სალონში; ეს ფოტოსურათი კი გადაღებულია ძველი თბილისის შარდენის ქუჩაზე მდებარე მაღაზია-სალონში.**

**ნ. ბრიგალაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**





# მარცვლეული ზღვით მოდის

**ბათუმის** საზღვაო ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა სამმა ლიხტერმა, რომელთაგან ერთი გადმოსატვირთად დადგა. მარცვლეულისა და პურპროდუქტების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების მიერ მიღებული ტელეფონოგრამის თანახმად, ამ პატარა გემებმა აქ მოიტანეს 7 000 ტონა ხორბალი და 3 000 ტონა ქერი. სულ ცოტა ხნის წინათ თურქეთიდან ჩამოტანილი მარცვლეულით დატვირთული ლიხტერები ფოთის საზღვაო ნავსადგურში განიტვირთა.

ამრიგად, აგვისტოსა და სექტემბერში მოსავლის აღების შემდეგ რესპუბლიკის სახელმწიფო ბეღლებში შენახულია თითქმის 90 ათასი ტონა სასურსათო მარცვლეული, რომელიც თურქეთიდან შემოვიდა საქართველოს მთავარი საზღვაო ჭიშკრით. მოელიან აქ ამ ძვირფასი ტვირთით სავსე სხვა გემების შემოსვლასაც.

**ვალერიან ბაბუაძე,**
საქინფორმის კორ.

# დაგვეხმარება ელექტრონიკა

**ოპერატიულს** ვერ უწოდებ მოძრაობის სამსახურის ოპერატიულ-განმკარგულებელი განყოფილების მუშაობას, როცა დისპეტჩერის განკარგულებაში მხოლოდ ტელეფონებია — რამდენი დრო უნდა გავიდეს, რომ დაუკავშირდე... სულ სხვაგვარად არის ელექტრონიკის საქმე: დააჭერ თითს კნოპს და ფარის ტაბლოზე ან დისპლეის ეკრანზე გამოჩნდება კვანძის, უბნის ან მთლიანად რკინიგზის მუშაობის მონაცემები.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე შეუდგნენ მთელი სადისპეტჩერო სამსახურის მუშაობის გარდაქმნას. ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად მის განყოფილებებში ინერგება მაგისტრალისა და „ტრანსსიგნალკავშირის" სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ შემუშავებული სადისპეტჩერო მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელსაც საფუძვლად უძევს რკინიგზის გამოთვლითი ცენტრისა და საგზაო ელექტრონული და კომპიუტერული კავშირგაბმულობის მიღწევათა გამოყენება.

# საზღვარგარეთ

## მეიჯორის განცხადება

**დეკემბრისათვის** დაგეგმილი ევროპის საბჭოს სესია, რომელიც გაიმართება მასტრიხტში (ნიდერლანდი), ევროპის გაერთიანების წევრ ქვეყნებს აძლევს „ისტორიულ შესაძლებლობას" მხარი დაუჭირონ უფრო მჭიდრო ურთიერთობათა განვითარებას აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და იმ ტერიტორიებთან, რომლებიც ახლა საბჭოთა რესპუბლიკებს წარმოადგენენ, განაცხადა ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფთან გამართულ შეხვედრაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა.

როგორც მან აღნიშნა, ასეთ ურთიერთობათა განვითარება არა მარტო პოლიტიკური და არა მარტო ეკონომიკური ამოცანაა, არამედ მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს უშიშროების უზრუნველყოფასთან. ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის აზრით, „საერთო ბაზრის" წევრმა ქვეყნებმა უნდა იფიქრონ გაერთიანების გაფართოებაზე.

## არაბული ქვეყნების პოზიცია

**იერუსალიმის** ბედი ვერ გახდება „ვაჭრობის" საგანი ახლო აღმოსავლეთის შესახებ საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე, და ამ მხრივ ერთმანეთს ემთხვევა ყველა არაბული ქვეყნის პოზიცია, განაცხადა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალურმა მდივანმა ისმათ აბდელ მაგიდმა, ქუვეითის გაზეთის „საუთ ალ-ქუვეითისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იერუსალიმის პრობლემისადმი არაბების მიდგომას მთელი მსოფლიო გაერთიანება იზიარებს.

როგორც აბდელ მაგიდმა თქვა, არაბულმა ქვეყნებმა მიიღეს „პოლიტიკური გადაწყვეტილება" არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წესდების შეცვლის შესახებ.

## სესია ბრიუსელში

**ბელგიის** დედაქალაქ ბრიუსელში გაიხსნა დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოს საგანგებო სესია. იგი დასავლეთ ევროპაში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც კომპეტენტურია თავდაცვის საკითხებში. სესია მოწვეულია იუგოსლავიაში შექმნილი კრიზისის განსახილველად, სადაც, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, გრძელდება ბრძოლები.

დასავლეთ ევროპის კავშირში შემავალი 9 ქვეყნის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, რომლებიც სესიაში მონაწილეობენ, კერძოდ, განიხილავენ საკითხს, შესაძლებელია თუ არა გაიგზავნოს იუგოსლავიაში ძალები იქ მყოფი ევროპელი მეთვალყურეების დასაცავად, რათა მათ საშუალება მიეცეთ შეასრულონ ცეცხლის შეწყვეტისადმი კონტროლის დაკისრებული მისია. ეს პრობლემა კვლავინდებურად სერიოზულ უთანხმოებებს იწვევს დასავლეთ ევროპის კავშირის პარტნიორთა შორის, რომელთაგან ბევრი შიშობს, როგორც ბელგიის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გიკომმა განაცხადა, „არ ჩაეფლონ" იუგოსლავიის კონფლიქტში.

## მცირდება რკინიგზის ტვირთბრუნვა

**პოლონეთში** უქმდება 52 სამგზავრო მატარებლის მოძრაობა. ამავე დროს მცირდება მარშრუტები ან შემოღებულია 21 ჩქარი მატარებლის კურსირების შეზღუდული დღეები. შაბათ-კვირაობით ექსპრესები არ დადიან.

განმარტავს რა პოლონეთის რკინიგზების დირექციის ამ გადაწყვეტილებას, პოლონეთის რკინიგზების გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე იანიშევსკიმ ორკვირეულის „გაზეტა ვპულნის" ფურცლებზე განაცხადა, რომ ეს სახელმწიფოს მხრივ 2 მილიონ 150 მილიარდი ზლოტით დოტაციის შემცირების შედეგია.

რკინიგზა, რომელიც ფულს იღებდა უშინარეს ყოვლისა ტვირთზიდვის ხარჯზე, დღეს ფინანსური კატასტროფის მდგომარეობაშია. წარმოების დაქვეითების შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ტვირთზიდვა რკინიგზის ტრანსპორტზე და შემოსულობანი პოლონეთის რკინიგზების ბიუჯეტში. უკვე ახლა რკინიგზის დავალიანება 2,5 ტრილიონ ზლოტს შეადგენს. ასეთ ვითარებაში პოლონეთის რკინიგზების დირექცია იძულებულია შეწყვიტოს სამგზავრო მატარებლების მოძრაობა პოლონეთის 3.600 კილომეტრი სიგრძის რკინიგზების 137 მონაკვეთზე. კიდევ 40 მონაკვეთზე უქმდება როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო შემადგენლობათა მოძრაობა. ამავე დროს გადაწყვეტილია 800 მილიარდი ზლოტით შეკვეცონ რკინიგზაზე ტექნიკისა და მოწყობილობის შენახვის და 400 მილიარდით — ახალი ობიექტების მშენებლობის ხარჯები.

## საერთაშორისო ეკონომიკური სემინარი

**რომის** და საპიენცის უნივერსიტეტში გაიხსნა საერთაშორისო სემინარი თემაზე „მანეთი, დოლარი, ეკიუ: ეკონომიკური ურთიერთობის პერსპექტივები". სემინარში მონაწილეობენ რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კოზირევი, დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების თვალსაჩინო ეკონომისტები და მეცნიერები.

სემინარის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირსა და რესპუბლიკებში შექმნილი მდგომარეობა, სსრ კავშირში ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის პერსპექტივები, რესპუბლიკების პოლიტიკა ფინანსების დარგში. დასავლელი მეწარმეები უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალს საბჭოთა ქვეყანაში მოვლენათა განვითარებას. მხარეებმა გააანალიზეს აგრეთვე იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

სემინარზე დაგეგმილია იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჯულიო ანდრეოტის, საგარეო საქმეთა მინისტრის დე მიქელისის, ვატიკანის სახელმწიფო მდივნის მონსენიორ ანჯელო სოდანოს გამოსვლა.

## გადააყენეს თანამდებობიდან

**ერაყის** ყოფილი პრემიერ-მინისტრი სადუნ ჰამადი ამას წინათ გადააყენეს ყველა თანამდებობიდან და გარიცხეს ქვეყნის რევოლუციური სარდლობის საბჭოს შემადგენლობიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ცდილობდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, იუწყება ერაყის ოპოზიციურ წრეებზე დაყრდნობით დამასკოს გაზეთი „ალ-აჰრამი".

ოპოზიცია, რომელიც თავის მხრივ იმოწმებს ერაყის მაღალი თანამდებობის ოფიცერს, ამტკიცებს, რომ ჰამადი გვარდიელთა ჯგუფთან და ჯარის ერთ-ერთი ნაწილის მეთაურებთან ერთად აპირებდა სადამ ჰუსეინის დამხობას. ამასთან მას თითქოს შეპირებინოს ევფრატის შუა დინებაში ბედუინთა ზოგიერთი ტომის მხარდაჭერა.

შეთქმულების გახსნის შემდეგ მთავრობის ყოფილ მეთაურს შინაპატიმრობა მიუსაჯეს, შეიარაღებული ძალების რიგებში კი დაიწყო საფუძვლიანი წმენდა.

## ალმოაჩინეს სადგურის ნაშთები

**ხანგრძლივი** ძებნის შემდეგ ამერიკელმა მფრინავებმა აღმოაჩინეს ადამიანების მიერ მიტოვებული „ჩრდილოეთ პოლუს-31" სა-[illegible]

ეს სადგური განაგრძობს ცურვას იგლისის დამლევიდან. როცა ვითარება საშიში გახდა, ყინულმჭრელმა „მურმანსკმა" [illegible]

მცხოვრებთ, რომლებიც ამ ბოლო ხანს უშუალოდ აწყდებიან ეკოლოგიურ პრობლემებს, ახლა აშინებთ ახალი უბედურება. [illegible]

## გაიქცნენ მშენებლები და მძღოლები

[illegible]

## ალიარებსა გამა-გამოსხივების შემთხვევები

„**იმდენად** ვარ დაბნეული, რომ არ ძალმიძს რაიმე ახსნა მივცე ამ აღმოჩენას", — ასეთი კომენტარი გაუკეთა ცნობილმა ფიზიკოსმა, კოსმოსური გამა-გამოსხივების სპეციალისტმა პოლ ჯოსმა ამერიკის ავტომატური ობსერვატორიის „ჯი-აროუსაგან" მიღებულ მონაცემებს. ეს ობსერვატორია დედამიწისირგვლივ ორბიტაზე აპრილის დამდეგს გაიყვანეს და მას შემდეგ აღრიცხა მძლავრი გამა-გამოსხივების 117 შემთხვევა, რომლის წყარო, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს ამ აღმოჩენის გაშუქებისას, „შეუძლებელია იყოს მეცნიერებისათვის ცნობილი რომელიმე კოსმოსური ობიექტი".

დღემდე მეცნიერთა შორის ყველაზე აღიარებულია თეორია, რომლის თანახმად ძალიან ძლიერი გამა-გამოსხივების წყარო ნეიტრონული ვარსკვლავებია. მაგრამ ობსერვატორიის მიერ აღრიცხული გამოსხივება თანაბრად მოდიოდა ყველა მიმართულებიდან. ეგრონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს სპეციალისტთა აზრით, საიდუმლოებით მოცული გამა-გამოსხივება შეიძლება მოდიოდეს ან მზის სისტემის უშუალო სიახლოვეს განლაგებული ძალიან პატარა ობიექტებიდან, ანდა „სამყაროს განაპირა" ზედიდი კოსმოსური ობიექტებიდან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამერიკის ავტომატური ობსერვატორიის მონაცემები შეიძლება რაღაცნაირად დაკავშირებული იყოს „შავი ხვრელების" ფენომენთან, რომელთა შესახებ დღემდე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ისინი გრავიტაციულ გავლენას ახდენენ ხილულ კოსმოსურ ობიექტებზე.



უცხო პლანეტელთა ახეთი სავიზიტო ბარათები უკვე მრავლად გვხვდება ინგლისის, დანიისა და გერმანიის ხორბლის ველებზე. მათი შემჩნევა მიწაზე შეუძლებელია. ისინი მხოლოდ სიმაღლიდან ჩანან. სპეციალისტები ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობენ ამ საიდუმლო ნიშნების ამოცნობას.

სურათზე: საიდუმლო ნიშნები ქვემო საქსონიის ველებზე.

## [illegible] ათასობით ნაფთი

[illegible]

## ლატვიის განცხადი

[illegible] სახეგ, იუწყება ეს უდიდესი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია. მის მიერ გამოქვეყნებულ სპეციალურ პრეს-რელიზში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ლატვიის მთავრობის თხოვნას განიხილავენ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. თავდაპირველად განაცხადს მიიღებს ფონდის აღმასრულებელი დირექტორატი, რომელიც შემდეგ თავის რეკომენდაციებს წარუდგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭოს ცალკე დოკუმენტის სახით. მასში აისახება ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორიც არის ლატვიის კვოტა, საწევრო შენატანის ანაზღაურების ფორმა, შესვლის დროს ზოგიერთი სხვა სავალდებულო დებულება, აგრეთვე წევრობის პირობები.

## საბჭოთა კავშირის შესახებ

**შეერთებული შტატები** აპირებს „მხარი დაუჭიროს იმათ, ვინც ხელს უწყობს დემოკრატიის, თავისუფალი მეწარმეობისა და ინდივიდუალურ თავისუფლებათა განვითარებას", განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. იგი ორშაბათ საღამოს გამოვიდა ახალ ორლეანში ლუიზიანის შტატის გუბერნატორის ჩარლზ როუმერის წინასაარჩევნო ფონდში სახსრების შეგროვებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

ადმინისტრაციის მეთაურმა დამსწრეთ შეახსენა, რომ აგვისტოში „როცა დემოკრატიის საქმეს საბჭოთა კავშირში საფრთხე შეუქმნა შეთქმულებამ, შეერთებული შტატების ყველა მცხოვრებმა მტკიცედ დაუჭირა მხარი თავისუფლების დაცვას". „მას შემდეგ, რაც გადატრიალება ჩაიშალა, დამირეკეს ბორის ელცინმა და მიხეილ გორბაჩოვმა, რათა ეთქვათ, რაოდენ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მათთვის ამერიკელი ხალხის მხარდაჭერა", — აღნიშნა ბუშმა.

## პრაღის მუსიკალური ფესტივალი

**პრაღაში** დამთავრდა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ევროპა-მოცარტი-პრაღა" რომელიც ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის გარდაცვალების ორასი წლისთავს მიეძღვნა. სამი კვირის მანძილზე ჩეხეთ-სლოვაკეთის დედაქალაქში გაიმართა 50-ზე მეტი კონცერტი და საოპერო წარმოდგენა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 1200-მდე ხელოვნების ოსტატის მონაწილეობით. სპეციალურად ფესტივალისათვის მომზადებული იყო დიდი კომპოზიტორის ოპერების „დონ ჟუანისა" და „ფიგაროს ქორწინების" ახალი დადგმები. ამ დღეებში აქ აჟღერდა მოცარტის მრავალი სიმფონიური ნაწარმოები. კრიტიკოსთა აზრით, ფესტივალის ერთ-ერთი კულმინაციური მომენტი გახდა პრაღის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მოცარტის „რეკვიემის" — ჩანაფიქრითა და გამოხატულებით მისი ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოების შესრულება.

ასეთი ფართო მასშტაბის მუსიკალური დღესასწაული ევროპაში პირველად ეწყობა, თქვა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ კლაუს ჰელმუტ დრესემ. მისი მოწყობის იდეას, რომლითაც იტალია გამოვიდა, მხარი დაუჭირეს საფრანგეთმა, ავსტრიამ, გერმანიამ, ჩეხეთ-სლოვაკეთმა, ზოგიერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. ამის წყალობით პრაღაში ბევრი მაღალი კლასის მომღერალი და მუსიკოსი ჩამოვიდა, რამაც ბევრად განსაზღვრა კიდეც ფესტივალის წარმატება. სასიამოვნო განცვიფრება გამოიწვია ახალგაზრდა ჩეხეთ-სლოვაკელი შემსრულებელთა მაღალმა დონემ, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობდნენ კონცერტებში, რომლებიც იმართებოდა არა მარტო ქალაქის უდიდეს დარბაზებსა და თეატრებში, არამედ აგრეთვე ტაძრებში და მოედნებზე.

ჩეხეთ-სლოვაკეთის დედაქალაქი შემთხვევით არ გამხდარა ფესტივალის მოწყობის ადგილი. თავად უძველესი ქალაქის არქიტექტურა, სადაც არაერთგზის ყოფილა მოცარტი, განუმეორებელ მუსიკალურ ატმოსფეროს ქმნის. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ფესტივალი პრაღაში ტრადიციულად იქცეს.

## ჟაკ შირაკი ულოცავს

**პარიზიდან** სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ლევონ ტერ-პეტროსიანმა მიიღო დეპეშა, რომლითაც ქალაქის მერი ჟაკ შირაკი გულითადად ულოცავს სომეხ ხალხს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია: „იმ მომენტში, როცა თქვენს ქვეყანაში დგება გადამწყვეტი ეტაპი თავისუფლებისა და დემოკრატიის გზაზე, რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანების სახელით და პირადად გულწრფელად გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას.

ამა წლის 23 მაისს ჩვენი საუბრის შედეგად მიღებული ღრმა შთაბეჭდილება მისახავს სომხეთის, იმ ქვეყნის მომავლის დიდ იმედსა და რწმენას, რომელიც ესოდენ ახლობელია პარიზელებისთვის.

მე ვიცი, რომ რიშარ კაზანავი, რომელსაც თქვენ არაერთგზის შეხვედრიხართ, შეძლებს სათანადოდ გადმოქცეთ მეგობრული გრძნობები და პატივისცემა, რომელსაც ვგრძნობთ პირადად თქვენდამი და სომეხი ხალხისადმი.

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, ირწმუნოთ ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენდამი. ჟაკ შირაკი, პარიზის მერი".

## კონსერვატორთა დანაკარგები

**ამა წლის** შემოდგომაზე დიდ ბრიტანეთში საყოველთაო არჩევნები სულ უფრო და უფრო ნაკლებ მოსალოდნელი ხდება. ასეთ დასკვნამდე მიდიან მიმომხილველები, რომლებიც აშუქებენ საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვის შედეგებს, რომელიც მოაწყო „ნეშნლ ოპინიონ პოლის" სამსახურმა ბი-ბი-სის ტელეპროგრამის, „ნიუსნაიტისა" და გაზეთ „ინდეპენდენტისათვის". ამ გამოკითხვამ არცთუ სასიამოვნო ცნობები მოუტანა მმართველ კონსერვატიულ პარტიას: განვლილ სამ კვირაში მისი პოპულარობა ორი პროცენტით დაეცა, ლეიბორისტების ავტორიტეტი კი, პირიქით, პროცენტული გამოხატულებით სამი პუნქტით გაიზარდა. უდიდეს ოპოზიციურ პარტიას ხმა მისცა გამოკითხულთა 42 პროცენტმა, კონსერვატორებს — 39, ხოლო ლიბერალურ-დემოკრატთა პარტიას — 14 პროცენტმა.

თუმცა პირადი პოპულარობის მაჩვენებლით პრემიერ-მინისტრი ჯონ მეიჯორი კვლავინდებურად მტკიცედ უსწრებს სხვა პარტიათა ლიდერებს, მაგრამ საეჭვოა ამან აანაზღაუროს კონსერვატორთა დანაკარგები.

## რამდენიმე სტრიქონით

[illegible]

[illegible] ემებით 1990 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაიღუპა 36 ჟურნალისტი, 1991 წელს კი 41. მიმდინარე წელი კი ჯერ არ დასრულებულა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს მონაცემები არასრულია, რადგან პატარა გაზეთების ჟურნალისტების გაქრობა ან სიკვდილი ჩვეულებრივ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი რჩება.

**სახელმწიფო** გადატრიალების ცდა მოხდა ჰაიტში. ქვეყნის დედაქალაქის პორტ ო პრენსის ერთ-ერთმა სამხედრო გარნიზონმა პრეზიდენტ ჟან-ბერნარ არისტიდის რეზიდენციის შტურმი დაიწყო. „რადიო ნასიონალეს" ცნობით ვითარება ქვეყანაში დაძაბულია. ზოგიერთი ცნობით პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა.

**პირველი** ოქტომბრიდან ლატვიაში ახალი საბაჟო წესები ამოქმედდა. საბაჟოს დეპარტამენტის აივარ სალინშის განცხადებით ლატვიის საბაჟოს წესდება ძალიან ჩამოჰგავს საკავშირო წესდებას. ორი თვის შემდეგ ძალაში შევა საბაჟო უნია ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს შორის. რუსეთიდან შემოსული მატარებელი ერთ-ერთ პუნქტში საათს დაყოვნდება საბაჟო კონტროლის ჩასატარებლად.

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის** ბოპუტატსვანის ბანტუსტანში ეთნიკური ხასიათის შეტაკება მოხდა, სოტოსა და ტსვანას მოსახლეობას შორის. ისინი მუშაობდნენ „ჯენერალ მაინინგ კორპორეიშნის" საბადოებში, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უმდიდრესი პლატინის საბადოებია. მოკლულია 11 ადამიანი.

**დონეცკის** ინტერმოძრაობამ უკრაინის შემადგენლობაში დონბასის აუზის ავტონომია მოითხოვა. შეგახსენებთ, რომ უკრაინაში 11 მილიონი რუსი ცხოვრობს, მათი დიდი უმრავლესობა დონბასის აუზში და ყირიმის ნახევარკუნძულზე ცხოვრობს, რომელმაც უკვე გამოაცხადა თავისი ავტონომია.

**საბერძნეთის** დედაქალაქ ათენში მიმდინარეობს ძველ ათენში დემოკრატიის დამყარების 2500 წლისთავის აღსანიშნავი სამდღიანი ზეიმი. „ხალხის ხელისუფლების" მმართველობას ანტიკურ ათენში სახალხო კრება წარმოადგენდა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოქალაქენი. ეს კრება გახდა თანამედროვე პარლამენტის წინამორბედი.

**ინდოეთის** პენჯაბის შტატში კვლავ დაიძაბა ვითარება. აქ რამდენიმე საათის განმავლობაში მოჰკლეს 35 ადამიანი. პენჯაბის შტატის მოსახლეობა აქტიურად იბრძვის ინდოეთიდან გამოყოფისათვის და „პაკისტანის სახელმწიფოს" შესაქმნელად. ტერორისტული აქტებისათვის პასუხისმგებლობა იკისრა ორმა ყველაზე უფრო აგრესიულმა დაჯგუფებამ „ზპინდრანვალის ვეფხვებმა" და „ხალისტანის კომანდოს ძალებმა". პენჯაბის შტატში ტერორისტული აქტების შედეგად 1991 წელს მოკლულთა რიცხვმა შეიძლება გადააჭარბოს შარშანდელ სავალალო შედეგს, როდესაც ტერორის მსხვერპლი გახდა 5 ათასამდე პენჯაბელი. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის დაღუპულთა რიცხვი უკვე აღემატება 4 ათასს.

**სლოვენიითი** და ხორვატია აცხადებენ, რომ მათ არ სურთ მორატორიუმის ვადის გაგრძელება რესპუბლიკების დამოუკიდებლობის თაობაზე. ადრე შემოღებული სამთვიანი მორატორიუმის ვადა 7 ოქტომბერს გადის. ქალაქ ლიუბლიანში ევროპის თანამეგობრობის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს სლოვენიისა და ხორვატიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 7 ოქტომბრის შემდეგ მათი რესპუბლიკები ენერგიულ ნაბიჯებს გადადგამენ იუგოსლავიიდან გასასვლელად.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების პოლიტიკური განცხადება ეროვნული გვარდიის შესახებ

1. საქართველოს ეროვნული გვარდია შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით და მისი დაშლის, ისევე როგორც მის სტატუსში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ უზენაეს საბჭოს. ამგვარად, პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც აუქმებს ან მომავალში გააუქმებს უზენაესი საბჭოს ამ დადგენილებას, უნდა მიჩნეულ იქნეს კანონშეუსაბამოდ.

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციული მოქმედება დღეს მიმდინარეობს მის მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტების პირობებში, ანუ მის მიერ ნაწილობრივ უზურპირებული ხელისუფლების გამოყენების პირობებში, რამდენადაც მან დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, როდესაც დაუყოვნებლივ არ მოიწვია უზენაესი საბჭოს სხდომა მის მიერ საგანგებო წესების გამოცხადების შემდეგ და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე შექმნა უშიშროების საბჭო, რაც აგრეთვე კონსტიტუციის დარღვევაა. თქმულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ბრძანებულებები, კერძოდ მისი ის ბრძანებულებები, რომლებიც ეხება თბილისის ახლანდელი ვითარების რეგულირებას, ვერ ჩაითვლება კანონიერად.

3. ზემოხსენებული გარემოებები წარმოადგენს საკმარის საფუძველს, რათა ვალდებული გახდეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ მოიწვიოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სხდომა ეროვნული გვარდიის სტატუსის განსაზღვრისათვის.

ნ. ნათაძე, ე. შენგელაია, ა. იმნაძე, თ. პაატაშვილი, გ. ჩორგოლაშვილი, მ. ურიდია, მ. კვანჭილაშვილი, თ. დიხამინჯია, ი. მელაშვილი, რ. ლონლაძე, ვ. ადამია, დ. კუპრეიშვილი. ა. საკანდელიძე, ხ. ხავთასი, ს. ზვიადაძე, თ. ოზგაძე, ნ. ლეკიშვილი, პ. კოლუაშვილი, დ. ბერძენიშვილი, რ. გოცირიძე, ა. გოგოხიძე, თ. დიასამიძე, გ. ჯაში, ე. ყაველაშვილი, თ. შაშიაშვილი, თ. ნინიძე, ა. მარგიანი, რ. მემარნიშვილი, ჯ. დევნოზაშვილი, ვ. შარიძაძე, გ. ფაცაცია, ს. კავსაძე, გ. მარგიანი, ზ. კანდელაკი, მ. დვალიშვილი, ა. სიჭინავა.

2 ოქტომბერი, 1991 წელი.

## დემოკრატიულ-ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება

**ა. წ.** 2 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ თბილისში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაშალა მიტინგი, რასაც მოჰყვა ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების მშვიდობიანი საპროტესტო აქციები დემოკრატიული მოთხოვნებით. ოფიციალურმა ხელისუფლებამ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებით თავის მომხრე ძალებს არაერთხელ მოუწოდა ოპოზიციის ფიზიკური განადგურებისაკენ, რაც 22 სექტემბერს, გამთენიისას რუსთაველის გამზირზე აქციის მონაწილეთა ბარბაროსული დარბევით დასრულდა.

ამის შემდეგ მშვიდობიანი პოლიტიკური აქცია შეუერთდა ჟურნალისტთა გაფიცვას საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობის წინ. ეროვნულმა გვარდიამ, რომელიც აცხადებდა, რომ არ დაუშვებდა ძალადობას რომელიმე მხრიდან, შეასრულა სიტყვა და ჩამოვიდა დედაქალაქში დარბეული მშვიდობიანი მომიტინგეების დასაცავად. გვარდია თავის განცხადებებში კატეგორიული წინააღმდეგია ყოველგვარი შეტევითი მოქმედებისა.

ხელისუფლება შეგნებულად აიგივებს ოპოზიციურ ძალებს ეროვნულ გვარდიასთან და 3 ოქტომბრის 12 საათამდე ულტიმატუმის სახით მოითხოვს განიარაღებას. თავისთავად შეუძლებელია ეს მოთხოვნა ეხებოდეს პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რადგან ჩვენი ბრძოლის მეთოდები მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანია. სრულიად აშკარაა, რომ ხელისუფლების ამგვარი განცხადებები მიზნად ისახავს ოპოზიციის მონათვლას შეიარაღებულ ძალად და დემოკრატიული სამყაროს თვალში მის დისკრედიტაციას.

დემოკრატიული ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები კიდევ ერთხელ მტკიცე პროტესტს გამოსთქვამენ ამ დეზინფორმაციის გამო.

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, სდპ, ედპ, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, დასი.**

### შეთანხმება

**ჩვენ,** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ნაწილი ბ-ნ თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით და სახელით, და მოხალისეები, რომლებიც იცავენ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს სრულიად საქართველოს მ. კოსტავას საზოგადოებიდან, ბატონი ვაჟა ადამიას თავკაცობით და სახელით, 1991 წლის 2 ოქტომბერს, 18 საათზე

ქ. თბილისში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირების განმუხტვის, სამოქალაქო და დემოკრატიული მოძრაობის მშვიდობიანი, პარლამენტური ფორმით წარმართვისათვის ხელშესაწყობად

**შევთანხმდით:**

უახლოეს დღეებში დავტოვოთ ქ. თბილისში ჩვენს მიერ ამჟამად დაკავებული ადგილები და გავიდეთ ქალაქიდან.

ამავე ვაცხადებთ, რომ თუ ხელისუფლება ოპოზიციის მიმართ მიიღებს რეპრესიულ ღონისძიებებს, უფლებას ვიტოვებთ ვიმოქმედოთ საკუთარი მოქალაქეობრივი და პატრიოტული მრწამსის მიხედვით.

შეთანხმებას ხელს ვაწერთ:
**თენგიზ კიტოვანი,**
**ვაჟა ადამია.**

შეთანხმებას ესწრებოდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მიერ წარმოგზავნილი მღვდელმსახურები და უზენაესი საბჭოს წევრები:

დეკანოზი ელიზბარი, არქიმანდრიტი გიორგი, თ. დიხამინჯია, თ. პაატაშვილი, მ. კვანჭილაშვილი, ი. მელაშვილი, ს. კავსაძე, ა. სიჭინავა, თ. შაშიაშვილი, გ. ჩორგოლაშვილი, პ. კოლუაშვილი, გ. კოზერიძე, ა. კუდბა, თ. დიასამიძე, ე. შენგელაია, დ. ბერძენიშვილი, ა. მარგიანი, გ. ხავთასი, თ. ოზგაძე, თ. ნინიძე, ზ. კანდელაკი, მ. ურიდია, ა. მამაშვარიანი, ა. იმნაძე, ვ. ჯაში, ნ. ნათაძე.

როგორც იცით, ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა — უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა უნდა ჩააბარონ იარაღი.

## გამოსათხოვარი

### ირაკლი ზურაბიშვილი

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 78 წლისა გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, [illegible]



[illegible]

მთავარი რედაქტორი [illegible]

[illegible]

## მცირე აკადემია

(ფსიქიკური უმაღლესი სასწავლებელი)

[illegible]

## დახმარებას ითხოვს საკრებულო

ნაკურალეშის სოფლის საკრებულო სთხოვს ყველა ორგანიზაციასა და პირს, ვისაც გული შესტკივა ამ საკრებულოში შემავალი სოფლების ბედისთვის. მათი კეთილმოწყობისთვის, დახმარების სახით ჩაურიცხოს სათანადო თანხა ცაგერის აგრომრეწვბანკის ანგარიშზე № 70046.

**ნაკურალეშის საკრებულო.**

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია 2000 მანეთის ოდენობით.

იგი მიენიჭება უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში შესრულებულ თვალსაჩინო ინდივიდუალური ან კოლექტიური მეცნიერული გამოკვლევისა ან მონოგრაფიისათვის.

შრომების წარმოდგენა შეუძლიათ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებს, მეცნიერთა ჯგუფებს ან ცალკეულ მეცნიერებს, გარდა ავტორებისა.

საკონკურსო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს 3 ცალად, დართული უნდა ჰქონდეს დახასიათება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ შეფასებას და განმარტავს თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისთვის.

საკონკურსო მასალები წარედგინება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ნაწილს, განცხადების გამოქვეყნების დღიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №1.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო ნაწილი ტელ: 23-64-57.



## საქართველოს მეფუტკრეთა ასოციაციაში

გაწევრიანების მსურველთ გთხოვთ საწევრო შენატანები ჩარიცხოთ თბილისის ისნის რაიონის მრეწვმშენბანკში.

ანგ. № 000609313.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელ.: 93-64-29, 93-51-66 ან მობრძანდით ქ. თბილისში ფურცელაძის ქ. № 22-ში.

**საქართველოს მეფუტკრეთა ასოციაცია.**

## თუ გსურთ სკოლის ატესტატთან ერთად მიიღოთ მენეჯერის დიპლომი...

მიმართეთ თბილისის მენეჯერთა სასწავლებელს, რომელიც აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელში მიიღებიან, როგორც არასრული საშუალო, ასევე საშუალო განათლების მქონე პირები. სწავლების ხანგრძლივობა შესაბამისად 3 და 2 წელია, სასწავლებელში სწავლება ფასიანია.

სასწავლებლის 2-წლიანი კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ ფართო პროფილის მენეჯერის დიპლომს, ხოლო სამწლიანი კურსის — დიპლომთან ერთად საშუალო განათლების ატესტატს.

მსმენელები გაივლიან პრაქტიკას უცხოეთის ანალოგიურ სასწავლებლებში. საუკეთესო მსმენელებს სამუშაო ადგილით უზრუნველყოფს საზოგადოება „არილი“. მსმენელები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სასწავლო კურსს და გამოავლენენ განსაკუთრებულ საქმიან ჩვევებს, დირექციის მიერ დაჯილდოვდებიან საწყისი კაპიტალით საკუთარი ბიზნესის დასაწყებად. მსმენელთა ჩარიცხვა იწარმოებს ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით. 2 საუკეთესო აბიტურიენტი ჩაირიცხება უფასოდ.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ: 1. განცხადება, 2. არასრული (საშუალო) განათლების ატესტატი (დედანი), 3. 4 ცალი ფოტოსურათი 3X4, 70 მანეთი გასაუბრების სამეურნეო ხარჯებისათვის.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 8 ოქტომბრამდე 11.00-დან 19.00-საათამდე, სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს.

მისამართი: ფალიაშვილის ქ. № 42, 57-ე სკოლა. ტელეფონები: 22-31-23, 78-82-62.

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

[illegible]

## მცხეთის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

[illegible]

...ნცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

საშუალო განათლების მოწმობის დედანი; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6 ფოტოსურათი (ზომა 3X4); პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

ინსტიტუტში სწავლება 4-წლიანია.

საბუთები მიიღება 12 ოქტომბრამდე (ჩათვლით), ყოველდღე 10-დან 18 საათამდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 15 ოქტომბრიდან.

**მისამართი: თბილისი, გლდანის მასივი, ა. მიკრორაიონი, ი. ვეკუას ქ. № 6 (აზმეტელის თეატრის გვერდით, სპეციალიზებული სპორტული სკოლა) ტელ: 62-62-46 ან 62-70-14**

## უნივერსიტეტი „გეორგია“

[illegible]

რომლებსაც გააჩნია თანამედროვე სასწავლო ტექნიკით (კომპიუტერული და ვიდეო-აუდიოაპარატურა) აღჭურვილი აუდიტორიები. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები. მე-3 კურსიდან ნავარაუდევია სტუდენტთა ჯგუ-

[illegible]

ერთად დიდი ყურადღება მიექცევა ათვისების უნარს და პოტენციურ შესაძლებლობებს, რადგანაც უნივერსიტეტში სწავლების სპეციალური მეთოდების გამოყენებით ნებისმიერი საწყისი დონის სტუდენტი შეძლებს სათანადო ცოდნის მიღებას. გასაუბრების შედეგები შეფასდება შემდეგნაირად:

[illegible]

დან (ყველა შემთხვევაში).

მიმღები კომისიის მისამართია: 151-ე საშუალო სკოლა, 1 სართული. ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, 61, II კვარტალი, მეტრო „დელისი“ (მილიციის უკან, პროფილაქტიკის გვერდით). მანქანით მისასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან. ტელეფონი: 31-18-68.

[illegible]

...გიხის მიხედვით.

რეგისტრაცია იწარმოებს 11 საათიდან სააქტო დარბაზის შესასვლელთან.

ტელეფონი: 95-42-41.

**სააქციო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟის“ გამგეობა**

## წარმოადგინეთ პროექტები

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა. ამიტომ ყოფილმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა უმოკლეს ვადაში უნდა წარმოუდგინონ (ვისაც არ წარმოუდგენია დღემდე) საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის დაზუსტებული და 1992 წლის საფინანსო გეგმის, შემოსავლის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტები საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ჩასართავად.

**საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო.**

## სააქციო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“

თუ გსურთ პროდუქციის მომგებიანად რეალიზება, კომერციული კავშირების დამყარება, ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმება, — ითანამშრომლეთ ჩვენს საინფორმაციო-კომერციულ ცენტრთან.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟის“ საბირჟო არხი (ინფორმაციული ბანკი) თქვენ დაგაკავშირებთ რუსეთის, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, უკრაინის, შუა აზიის და ყაზახეთის რესპუბლიკების 150 კომერციულ ცენტრთან და სხვადასხვა ბირჟებთან, აგრეთვე განვითარებული ქვეყნების ფირმებთან.

ამისათვის საჭიროა მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები ნებისმიერი სახის საქონლის, ნედლეულის, ფასიანი ქაღალდების, სამეცნიერო-საკვლევო, საპროექტო პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის თაობაზე.

ჩვენი ტელეფონებია: 96-43-71, 96-43-69.

**ბირჟის დირექცია.**

## მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისთვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკერვალო წარმოება
2. ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება
3. ტრიკოტაჟის წარმოება
4. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა მხატვრული გაფორმება და მოდელირება.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი.

სწავლის ხანგრძლივობა 4,5 წელი.

სწავლა — ქართულ ენაზე.

შენიშვნა: არაქართულ სკოლადამთავრებული მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სურთ აღნიშნულ ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება, გათვალისწინებულია ქართული ენის გაძლიერებული სწავლება.

ინსტიტუტში შემსვლელმა აბიტურიენტებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

1. საშუალო ან საშუალო-სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086).
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
4. 4 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4)

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მოწმობას წარმოადგენს პირადად.

ინსტიტუტში მისაღებად ჩატარდება აბიტურიენტებთან გასაუბრება მათემატიკაში და ქიმიაში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის გათვალისწინებული პროგრამების მიხედვით, ხოლო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა მხატვრული გაფორმებისა და მოდელირების სპეციალობაზე, გარდა გასაუბრებისა, ჩატარდება გამოცდები ხატვაში, კომპოზიციაში სპეციალობის მიხედვით (მიმდინარე წელს სამხატვრო აკადემიის შესაბამის სპეციალობებზე დადებით ქულიანი ჩაურიცხავი აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრებისა და გამოცდების გარეშე).

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. (წელიწადში 7000 მანეთიდან 9 000 მანეთამდე სპეციალობის გათვალისწინებით ფულის დღევანდელი კურსით). თანხის გადახდა შესაძლებელია როგორც პირადად, ასევე გადარიცხვით.

მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტებმა წინასწარ უნდა გადაიხადონ 100 მან.

წარჩინებულ სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია თვეში 100 მანეთის ოდენობით.

ლექცია-სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობისათვის ინსტიტუტში მოწვეულია მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები. სპეციალური საგნების სწავლებისათვის მოწვეული იქნებიან განვითარებული ქვეყნების ცნობილი სპეციალისტები.

სწავლების პროცესში ფართოდ იქნება გამოყენებული თანამედროვე სასწავლო ტექნიკა და მოწყობილობები. მეცადინეობის დროს დიდი ნაწილი დაეთმობა უცხო ენების გაძლიერებულ სწავლებას.

საბუთების მიღება ყოველდღე ა. წ. 7 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე. გასაუბრება დაიწყება 26 ოქტომბერს.

სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს.

მისამართი: 380086 ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 3 (№ 97 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა).

ტრანსპორტი: ავტობუსი 2, 47, 161, ბოლოს წინა გაჩერება. ავტობუსი 20, 53 და ტროლეიბუსი 4, 5, 11, ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლო გაჩერება.

**რექტორატი**

## RANK XEROX

**„RANK XEROX“-ის ოფიციალური წარმომადგენელი ფირმა „საქმიანი საქართველო“**

**იღებს შეკვეთებს ორგტექნიკის მიწოდებაზე**

1989 წელს პრეზიდენტმა ბუშმა გადასცა „XEROX“-ს ეროვნული პრიზი ხარისხისათვის. „RANK XEROX“-მა მიიღო ბრიტანეთის ხარისხის სერტიფიკატი. ცნობილმა ჟურნალმა „SALES & MARKETING MANAGEMENT“-მა „XEROX“-ის მარკეტინგის და სერვისის სამსახურები ამ დარგში მსოფლიოში საუკეთესოდ ცნო.

1990 წელს XEROX-1065-მა დაისაკუთრა წლის საუკეთესო ასლგადამღები მანქანის სახელი. XEROX-5014 და XEROX-1065 გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები თავისი კლასის მანქანებს შორის.

თუ გსურთ „RANK XEROX“-ის ორგტექნიკის შეძენა საბაზროზე დაბალ ფასებში, თუ გსურთ დაზღვეული იყოთ სერვისთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემებისაგან.

თუ გსურთ შეუქმნათ თქვენს ოფისს რესპექტაბელური იმიჯი.

**მოგვმართეთ ჩვენ**

ასლგადამღები და საბეჭდი მანქანები, ტელეფაქსები, საგამომთვლელო კომპიუტერები, სხვა ორგტექნიკა, რომელსაც გთავაზობთ, დააკმაყოფილებს თქვენს ნებისმიერ მოთხოვნილებას.

ჩვენი ტელეფონებია: 98-36-31, 98-85-48.

## თბილისის უმაღლესი ლინგვისტური კოლეჯი (ინსტიტუტი)

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ესპანური ენა და ლიტერატურა, იტალიური ენა და ლიტერატურა. ივრითი.

ძირითად უცხო ენასთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან მეორე უცხო ენას.

სწავლების ხანგრძლივობა 5 წელია. სწავლის პროცესის მაღალ დონეზე წარსამართავად მოწვეულნი არიან ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს საუნივერსიტეტო სპეციალობით (2004 — რომანულ-გერმანიკული ენები და ლიტერატურა ან 2005 — აღმოსავლური ენები და ლიტერატურა): ფილოლოგი (ორი უცხო ენის ჩვენებით).

უმაღლეს სასწავლებელს მჭიდრო კავშირი ექნება უცხოეთის უნივერსიტეტთან (სტუდენტთა გაცვლა, პრაქტიკის საზღვარგარეთ გავლა და ა. შ.).

უმაღლესი კოლეჯი (ინსტიტუტი) სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. სტუდენტის მომზადება წელიწადში 6000 მანეთი ჯდება.

აბიტურიენტები გადიან გასაუბრებას სათანადო სპეციალობაში.

აბიტურიენტებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე ერთიანი ფორმით, შემდეგი საბუთების დართვით: ატესტატი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 6 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 40 მანეთი (გასაუბრების ჩასატარებელი სამეურნეო ხარჯებისათვის). შემსვლელნი პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას პირადად წარმოადგენენ.

საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 15 ოქტომბრამდე, 15 საათიდან 18 საათამდე. სწავლა დაიწყება 21 ოქტომბერს.

ჩარიცხვა მოხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით.

მისამართი: ქ. თბილისი, ბევრეთის (ყოფილი ნარიმანოვის) ქ. № 8, № 65 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. ტელეფონები: 72-44-44, 72-35-50; ტრანსპორტი: ავტობუსი — № 16, 23, 39, 152, 167, 169, სამარშრუტო ტაქსი — № 10, 48 და ტროლეიბუსი № 7.

## სწავლის მსურველებო!

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კოლეჯი განაგრძობს IX, X, XI კლასების მოსწავლეების და ახლად სკოლადამთავრებულების მიღებას.

IX და X კლასებში მოსწავლეები გაღრმავებულად შეისწავლიან უმაღლეს სასწავლებლებში მათ მიერ შერჩეული სპეციალობებისათვის გათვალისწინებული მისაღები გამოცდების საგნებს, ხოლო დანარჩენ საგნებს გაცნობის მიზნით. XI კლასის მოსწავლეები და ახლად სკოლადამთავრებულები ისწავლიან მისაღები გამოცდებისათვის არსებული პროგრამების მიხედვით მხოლოდ იმ საგნებს, რომლებიც გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებლებში მათ მიერ შერჩეული სპეციალობებისათვის.

კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები და სწავლების მეთოდიკა იძლევა იმის საფუძველს, რომ მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად აღარ დასჭირდებათ დამატებით რეპეტიტორებთან მომზადება. კოლეჯში სწავლება ფასიანია. IX და X კლასების მოსწავლეთათვის სწავლების ღირებულება შეადგენს 2500 მანეთს, ხოლო XI კლასის და ახლად დამთავრებულთათვის 4000 მანეთს. კოლეჯში იმუშავებენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მომუშავე მეცნიერ მუშაკები.

რაიონებიდან ჩამოსულ მოსწავლეებს კოლეჯი ბინით ვერ დააკმაყოფილებს.

კოლეჯში მისაღები კონტიგენტი შეზღუდულია. იჩქარეთ საბუთების შემოტანა. საბუთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა, 14-დან 18 საათამდე. გასაუბრება ჩატარდება 12 ოქტომბერს. სწავლის დაწყება გათვალისწინებულია 14 ოქტომბრისათვის, მეცადინეობები ჩატარდება 13 საათიდან 18 საათამდე.

კოლეჯის მისამართია: თბილისი, წურწუმიას ქუჩა № 16, 88-ე საშუალო სკოლის შენობა (მეტროს სადგური „ავლაბარი“ ან „300 არაგველი“, სასტუმრო „მეტეხიდან“ თელავის ქუჩის გავლით), ტელ.: 74-29-55.

## საქართველოს „გოჯუ რიუ კარატე“-ს ფედერაცია

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას. მიიღებიან გოგონები და ვაჟები 10-დან 25 წლამდე. ფედერაციას გააჩნია სავარჯიშო დარბაზები თბილისის სხვადასხვა უბნებში, რაც შესაძლებლობას აძლევს გადაანაწილოს მოსწავლეები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საერთაშორისო ფედერაციის წევრობა საქართველოს ფედერაციას უფლებას აძლევს წარადგინოს თავისი გუნდი სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებაზე, ჩაატაროს საკუთარი ჩემპიონატები, მოიწვიოს ინსტრუქტორები საზღვარგარეთიდან (უახლოეს მომავალში გვესტუმრება 1988-90 წლების მსოფლიო ჩემპიონი ინგლისელი ერნი მოლინეუ). დადებულია ხელშეკრულება შვეციის შესაბამის ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობისა და მოსწავლეთა გაცვლის შესახებ. მოსწავლეთა მიღება-რეგისტრაცია წარმოებს ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს 20 საათიდან სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ მოფარიკავეთა დარბაზში, უნივერსიტეტის ქუჩა, № 6 (სასტუმრო ამირანთან).

## საქართველოს ტექნიკური შემოქმედებისა და პატენტთმცოდნეობის ინსტიტუტი

1991 წლის 6 ოქტომბრამდე აგრძელებს საბუთების მიღებას მსმენელთა ჩასარიცხად.

ინსტიტუტი დაეხმარება ცოდნის გაღრმავებაში პატენტთმცოდნეობის და გამომგონებლობის დარგში მეცნიერ, ინჟინერ-ტექნიკურ, საგეგმო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, წარმოების და საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის სფეროში დასაქმებულ მუშაკებს.

ინსტიტუტში არის ქართული და რუსული სექტორის სამი ფაკულტეტი, ტექნიკური შემოქმედების მეთოდიკის, პატენტთმცოდნეობის და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ეკონომიკის.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს შესაბამისად მიენიჭებათ შემდეგი კვალიფიკაციები: „ტექნიკური შემოქმედების მეთოდისტი“, „პატენტთმცოდნე“ და „გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ეკონომისტი“.

ინსტიტუტს აქვს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში. სწავლების ვადა ორი წელია, მეცადინეობა ტარდება კვირაში ერთხელ ან ორჯერ არასამუშაო დროს (უმთავრესად კვირა დღეებში).

სწავლების ღირებულება 1000 მანეთია (2 წლის განმავლობაში). ფულის ჩარიცხვა შეუძლია, როგორც ორგანიზაციას, ასევე პიროვნებას.

სწავლა იწყება 1991 წლის 13 ოქტომბერს 10 საათზე.

ინსტიტუტში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება-რეკომენდაცია (დადგენილი ფორმის ბლანკის მიღება შეიძლება რექტორატში);
2. განათლების მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია;
4. 4 ცალი დამოწმებული ფოტოსურათი ზომით (3X4);
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;

სხვა საბუთები — გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების ავტორობაზე და ა. შ. (თუ ასეთი არის) უნდა წარმოადგინოს მსმენელმა გასაუბრების დროს.

საქართველოს ტექნიკური შემოქმედებისა და პატენტთმცოდნეობის ინსტიტუტის მისამართია: 380012, თბილისი, თამარ მეფის გამზირი 14, მე-3 სართული. ტელ: 34-06-58.

ინსტიტუტში ჩარიცხვისათვის ჩატარდება გასაუბრება ამა წლის 5 ოქტომბერს 16-დან 20 საათამდე და 6 ოქტომბერს 10-დან 18 საათამდე, ჭავჭავაძის გამზირი, № 49, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში.

## თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად

### ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის ახალ პერსპექტიულ მიმართულებებში კადრების გადამზადების ფაკულტეტი — „სპეცფაკულტეტი“

**აცხადებს** 1991-92 სასწავლო წლისათვის მსმენელთა მიღებას ქვემოთ ჩამოთვლილ მეორე ახალ სპეციალობებზე: 1. წარმოების მართვის ორგანიზაცია. 2. ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, 3. წარმოების პროცესების ავტომატიზაცია, ა) მსუბუქი მრეწველობის ავტომატიზაცია ბ) კვების პროცესების ავტომატიზაცია გ) მანქანათმშენებლობის ავტომატიზაცია.

სასწავლო გეგმები და პროგრამები შედგენილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს მხოლოდ სპეციალური საგნების შესწავლას 1200 საათის მოცულობით.

სპეცფაკულტეტზე სწავლის სურვილი შეიძლება გამოთქვან შემდეგი პროფესიის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებმა: ფიზიკოსებმა, ბიოლოგებმა, ქიმიკოსებმა, სოფლის მეურნეობის საინჟინრო დარგის სპეციალისტებმა, აგროქიმიკოსებმა და საინჟინრო დარგის ნებისმიერმა სპეციალისტებმა.

აღნიშნულ სპეციალობებში მოეწყობა გასაუბრება საკონკურსო კომისიის მიერ.

მსმენელებს, რომლებსაც სურთ ცოდნა შეიძინონ „წარმოების პროცესების ავტომატიზაციის“ სპეციალობით, უნდა ჰქონდეთ გავლილი უმაღლესი მათემატიკის კურსი.

სწავლების ფორმებია: ა) 9 თვე წარმოებიდან მოწყვეტით, მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ხუთჯერ, ექვსი აკადემიური საათის ოდენობით და დაიწყება დილის 9 საათზე. ბ) 18 თვე წარმოებიდან ნაწილობრივი მოწყვეტით საღამოს ან დაუსწრებელი ფორმით (მსმენელებთან შეთანხმებით), მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ოთხჯერ (საღამოს სწავლების მსმენელთათვის, ოთხი აკადემიური საათის ოდენობით. მეცადინეობა დაიწყება საღამოს 7 საათზე.

ყოველი სემესტრის ბოლოს ჩატარდება ჩათვლები და გამოცდები მაპროფილებელ საგნებში. პირები, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ სპეცფაკულტეტზე გადამზადებას და დაიცავენ სადიპლომო ნაშრომს, მიეცემათ იმავე ნიმუშის ინჟინრის დიპლომი, რომელსაც ღებულობს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ინჟინერი.

ფაკულტეტი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა და სწავლების ღირებულება შეადგენს 5000 მანეთს (ხუთი ათასი), ხოლო „წარმოების მართვის ორგანიზაციის“ სპეციალობით 6000 მანეთს (ექვსი ათასი). თანხის ჩარიცხვა შეიძლება როგორც წარმოება-დაწესებულებებიდან, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

— საბუთების მიღება იწარმოებს 1991 წლის 10 ოქტომბრამდე,

— მსმენელთა გასაუბრება 11-12 ოქტომბერს,

— ჩარიცხვა 14 ოქტომბერს,

— მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბერს.

ჯგუფებისა და მსმენელთა რაოდენობა ლიმიტირებულია და თითოეულ ჯგუფში ჩაირიცხება არა უმეტეს 25 კაცისა.

მოვლინებულმა პირებმა განცხადებას თან უნდა დაურთონ: 1. მიმართვა დაწესებულებებიდან სწავლების თანხის გადახდის გარანტიის აღნიშვნით, იმ შემთხვევაში, თუ თანხას იხდის დაწესებულება. 2. კადრების აღრიცხვის ბარათი. 3. დიპლომის ასლი (ნიშნების ფურცლის დანართით). 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, 5. 6 ფოტოსურათი (3X4).

**დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ: ქუთაისი, 384014, ახალგაზრდობის გამზირი 98, II კორპუსი, III სართული, ოთახი № 302, „სპეცფაკულტეტი“ ტელ 3-05-67, 3-38-62**

# საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი“